გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 100
(11 966)

23 – 26 დეკემბერი, 2005 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ფეხბურთის ფედერაციაში ცვლილებებია
## კლაუსის პასუხს ელიან





ორშაბათს, საშობაო არდადეგებზე წასვლამდე საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის უპირველესი კანდიდატი გერმანელი **კლაუს ტოპმიოლერი** ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს საბოლოო პასუხს ეტყვის. დიდი შანსია იგი ჩვენს ნაკრებს სათავეში ჩაუდგეს, რა თქმა უნდა, ოჯახის წევრებთან მოთათბირების შემდეგ. ჩვენი კონკურენტი, მხოლოდ გერმანელი მილიარდერი დიტმარ ჰოპი და მისი გუნდი „ჰოფენ ჰაიმია“.

რაც შეეხება სფფ ალმასკომის გუშინდელ სხდომას იგი თითქმის, ოთხი საათი გაგრძელდა. სხდომაზე ფედერაციის შემდგომი მუშაობისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხები გადაწყდა, რომლებიც უმთავრესად ადმინისტრაციულ — საკადრო ცვლილებებს შეეხო. სფფ-ს ალმასკომმა ცნობად მიიღო პროფლიგის საშეჯიბრო განყოფილების უფროსის **ნოდარ კაკულიას** ინფორმაცია ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის შედეგების, და თასის გათამაშების მიმდინარეობის შესახებ.

ალმასკომმა დააკმაყოფილა **ალექსანდრე ჩივაძის** და **ლევან ყიფიანის** განცხადებები ალმასკომიდან გასვლის შესახებ. დააკმაყოფილეს სფფ-ს გენმდივნის **გრიგოლ ცაავას** თხოვნაც თანამდებობიდან წასვლის თაობაზე. თუმცა, იგი სფფ-სა პრეზიდენტის თანაშემწედ დარჩება და ისევ ფეხბურთში იმუშავებს. სფფ-ს ახალ გენერალურ მდივნად დაამტკიცეს **უჩა უგულავა**. ცვლილებები მოხდა სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტში. კომიტეტის ახალი თავმჯდომარედ **ანატოლი მილჩენკოს** ნაცვლად ალმასკომმა დაამტკიცა სფფ-ს უსაფრთხოების ყოფილი ოფიცერი **ამირან კაჭახიძე**

ანატოლი მილჩენკო კი კვლავ მსაჯთა ასოციაციას და აკადემიას უხელმძღვანელებს. აქვე გაგაცნობთ სფფ-ს ახალი გენერალურ მდივნის უჩა უგულავას ბიოგრაფიას.

**უჩა უგულავა დაიბადა 1974 წელს თბილისში, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. 2001 წლიდან დღემდე მუშაობს შპს „საქართველოს ღვინისა და ალკოჰორული სასმელების კომპანია „GWS“-ში. — ფინანსურ მენეჯერი, ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე. მანამდე იყო შპს „ქართუ უნივერსალის“ ფინანსური მენეჯერი, შპს „ელექტროგამართვის“ ფინანსური მენეჯერი, სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო მრჩეველი, ეკონომიკის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი.**

**1998 წელს დაამთავრა ვენის გაერთიანებული ინსტიტუტი. სპეციალობა: საბაზრო ეკონომიკა და ფინანსური ანალიზი, სრული კურსი.**

## მილოცვები

საქართველოს ფიზკულტურულ — სპორტული კლუბი „დინამო“ და პირადად მისი პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი დაბადების დღეს და ვაჟის შეძენას ულოცავს საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს.

„ბატონო მიხეილ, განგების ნებით, თქვენი მეორე ვაჟი წმინდა ნიკოლოზის დღეს მოევლინა ამ ქვეყანას და მართლმადიდებლური ტრადიციისამებრ, წმინდანის სახელი დაერქვა. წმინდა ნიკოლოზისა და სხვა წმინდანების მადლი და შეწევნა ნუ მოკლებოდეს ნურც თქვენს პატარას და ნურც ჩვენ მომავალ თაობებს, რომლებმაც იმ ბედნიერ და გაბრწყინებულ საქართველოში უნდა იცხოვრონ, რომელსაც დღეს ეყრება საფუძველი“ — ნათქვამია ქვეყნის პრეზიდენტისადმი რედაქციაში გამოგზავნილ მისალოც ტექსტში.

XXX

ოლიმპიური ჩემპიონები მზია ჯუღელი და რობერტ შავლაყაძე ვაჟის — **ნიკოლოზის** დაბადებას ულოცავენ საქართველოს პრეზიდენტს **მიხეილ სააკაშვილს.**

## წლის საუკეთესონი

**საქართველოს ჭადრაკის ეროვნულმა ფედერაციამ პირველმა დაასახელა 2005 წლის საუკეთესო სპორტსმენები და გუნდები. რჩეულები ფედერაციის გამგეობის სხდომაზე დაამტკიცეს.**

საუკეთესო მოჭადრაკეებად დასახელდნენ:

**ზურაბ აზმაიფარაშვილი**
**ბაადურ ჯობავა**
**ლევან ფანცულაია**
**ზვიად იზორია**
**მაკა ფურცელაძე**

**გუნდები:** საქართველოს ქალთა ნაკრები და საჭადრაკო კლუბი ნტნ.

## სამბომ დაასახელა




ტრადიციულად სამბოს ეროვნული ფედერაცია ერთ-ერთი პირველი ასახელებს წლის ლაურეატებს. ასეა ამჟამადაც. ფედერაციამ გამოავლინა 3-3 საუკეთესო სპორტსმენი და მწვრთნელი. სპორტსმენები: 1. **მინდია ბოდაველი** 30 ქ. 2. **ავთანდილ ცინცაძე** (ორივე — თბილისი) — 15, 3. **ზვიად ჩინჩალაძე** (რუსთავი) — 10.

მწვრთნელები: 1, **გივი ზაუტაშვილი** (გორი) 2. **ზაურ ტუღუში** (ფოთი), 3. **გივი სარდანაძე** (ქუთაისი).

## დღეს, ხვალ, ზეგ...

**დღეს,** საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისში გაიმართება ამ ორგანიზაციის ყოველწლიური ტრადიციული შემაჯამებელი სესია, დასაწყისი 12 საათზე.

**ხვალ,** საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაცია ტრადიციულად დაასახელებს ჟურნალისტთა რეფერენდუმით გამოვლენილ საქართველოს 2005 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენს.

**ზეგ,** გმირთა მოედანზე სტარტს აიღებს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ 80 წლისთავისადმი მიძღვნილი მძლეოსნური გარბენი. ფინიში — ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე.

## „შევარდენი – 1906“ გველოდება თუ არა საუკუნოვანი იუბილე?



**„ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებული განცხადებით, საფეხბურთო კლუბ „შევარდენის“ საუკუნოვან იუბილეს მოახლოებასთან დაკავშირებით, რედაქციაში ვიწვევდით დაინტერესებულ პირებს რეკომენდაციების შესამუშავებლად. საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის თავმჯდომარემ ა. ჟღენტმა, ახალგაზრდა საფეხბურთო აკადემიის პრეზიდენტმა რ. ჩახვაშვილმა და ტელეჟურნალისტმა ზ. გიოშვილმა საინტერესო წინადადებები წამოაყენეს, რაც განსახილველად გადაეცემა საიუბილეო საორგანიზაციო კომიტეტს, თუ ასეთი კომიტეტი შეიქმნება და ყველაზე უძველესი ქართული საფეხბურთო კლუბის 100 წლის იუბილე საზეიმოდ აღინიშნება.**

## ქამრიანები კარგად იწყებენ...

ქამრიან ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატში ჩვენმა ფალავნებმა ხუთივე წონით კატეგორიში იასპარეზეს და შინ სამი მედლით დაბრუნდნენ. ქ. გელზენკირხენში (გერმანია) გამართულ ამ ასპარეზობაში 22 ქვეყნის წარგზავნილები მონაწილეობდნენ. ჩვენებიდან ვერცხლის მედალი ხვდათ **ლევან წიკლაურს** (81 კგ) და **ნიკოლო ბიბილაშილს** (90), აბსოლუტურ წონაში კი სპორტის ამ სახეობის საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტმა **აკაკი ბორცვაძემ** თავად იასპარეზა და მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა. დავძენთ რომ თითოეულ წონაში 15-16 სპორტსმენი გამოდიოდა.

კონტინენტის 2006 წლის ასპარეზობა გაიმართება მინსკში მარტის ბოლო დეკადაში.



ლევან წიკლაური



ნიკოლო ბიბილაშვილი



აკაკი ბორცვაძე

## ლელო — მატიანე
### 50 წლის წინათ...

**რუსთავი.** ქალაქის პირველობა ფეხბურთში 14 გუნდის მონაწილეობით მოიგო „ბურევესტნიკმა“ (მწვრთნელი ა. პაიჭაძე), მეორე ადგილზე გავიდა „დინამო“, მესამეზე — „ხიმიკი“.

**გურჯაანი.** ფრენბურთში სოფლის გუნდების პირველობა დამთავრდა სოფ. ბაკურციხის სპორტსმენთა გამარჯვებით, მეორე ადგილზე გავიდნენ ველისციხელები, მესამე ადგილი კი ვაზისუბნელებს ხვდათ წილად.

**ამბროლაური.** ჩატარდა საშუალო სკოლების პირველობა ფრენბურთში, ფეხბურთსა და მძლეოსნობაში. ჭაბუკ ფრენბურთელთა შეჯიბრება მოიგეს სოფ. ზნაკვის (ჭაბუკებში) და ამბროლაურის სკოლის მოსწავლეებმა (გოგონებში), ფეხბურთში ყველას აჯობა სოფ. სხვავის სკოლის გუნდმა, მძლეოსნობაში კი ამბროლაურის საშუალო სკოლის ნაკრებმა მოიპოვა პირველობა.

**თბილისი.** სახელმწიფო უნივერსიტეტების ვაჟ კალათბურთელთა პირველობაში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა, მეორე ადგილზე გავიდა ისტორიის, მესამეზე — იურიდიული ფაკულტეტი.

## გაზეთის დაბეჭდვამდე:

### ტიაგაჩევმა პრეზიდენტობა შეინარჩუნა, ფეტისოვი ვიცე-პრეზიდენტი გახდება



რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ვიაჩესლავ ტიაგაჩევი** გუშინ ამავე პოსტზე ახალი ვადით აირჩიეს ხმათა უმრავლესობით. მან განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში მოაწესრიგებს ურთიერთობებს ოლიმპიურ კომიტეტსა და რუსეთის ფედერაციის სპორტის სააგენტოს შორის. მისივე თქმით ამ სააგენტოს ხელმძღვანელი **ვიაჩესლავ ფეტისოვი** დაინიშნება რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად.

## იტალია უმასპინძლებს

**გუშინ, ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება ვაჟთა შორის ფრებურთში ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის იტალიაში ჩატარების თაობაზე. კონკრეტული ქალაქი მოგვიანებით დასახელდება.**



**გუშინ** თბილისში დასრულდა საქართველოს აბსოლუტური პირველობა ბილიარდში. უძლიერესის სახელი მოიპოვა სხვადასხვა ასპარეზობათა მრავალგზის გამარჯვებულმა **პაატა ხმალაძემ** (სურათზე).

დაწვრილებით „ლელოს“ შემდეგ ნომერში

**ფოტო რობერტ ბაგოიანისა.**

## ფოტო - არქივიდან...

**სურათი, რომელსაც აქვე გთავაზობთ 40 წლის წინათ, 1965 წელსაა გადაღებული საგარეჯოში. იმ წელს ამ რაიონის გუნდმა გაიმარჯვა კახეთის ზონის პირველობაში ქართულ ჭიდაობაში და ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა.**

**მარცხნიდან – I რიგში: თამაზ ჭილარტაძე (69) კგ, მძიმე წონაში გამარჯვებული (გვარი უცნობია), გელა კერატიშვილი (68) – მესამე პრიზიორი; II რიგში: გივი ეპიტაშვილი (56) – გარჯვებული, ზაქრო კერატიშვილი (60) – II პრიზიორი.**





**საქართველოს სპორტის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 73 წლისა გარდაიცვალა ბოლო 40 წლის განმავლობაში ონის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი**

**შუქრი (შოთა) ქოჩლაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# პოლიატლონის მეექვსე სტუმრობა სპორტის აკადემიაში

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში ტრადიციულად ტარდება პოლიატლონში შეჯიბრება, რომელიც ეძღვნება აკადემიის ყოფილი პრორექტორის **რევაზ კერესელიძის** ხსოვნას. წლევანდელი ასპარეზობა რიგით მეექვსე იყო და გაიმართა ფაკულტეტებს შორის. სტუდენტმა სპორტსმენებმა იასპარეზეს 100 და 1000 მ. რბენაში, 50 მეტრზე ცურვაში, ღერძზე მიზიდვაში (გოგონებმა მკლავებზე იატაკიდან აზიდვაში), ტყვიის სროლაში.

კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობა მწვრთნელთა ფაკულტეტის (დეკანი — **ტრისტან გულბიანი**) ნაკრებმა, მეორე იყო პედაგოგიური ფაკულტეტის (დეკანი — **როლანდ კალანდაძე**), მესამე — სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის (დეკანი — **ელზა კორინთელი**) წარმომადგენლები. პირად ჩათვლაში ვაჟთა შორის გაიმარჯვა **ირაკლი ჩუბინაშვილმა** (პედ. ფაკ.), მეორე იყო **მამუკა მახაშვილი** (მწვ. ფაკ.), მესამე ადგილი კი წილად ხვდა **კახა გოცირიძეს** (მწვ. ფაკ.). გოგონათა შორის ადგილები ასე განაწილდა: 1. **ანა სალხინოვა**, 2. **ანა უთიაშვილი** (ორივე — მწ. ფაკ.), 3. **მარი ქველაძე** (სამკ. ფაკ.). გამარჯვებულები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ პრიზებით, სპორტკლუბის დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით. დაჯილდოების ცერემონიალში პირადად მონაწილეობდა აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი **დურმიშხან ჩიტაშვილი**, რჩეულები დააჯილდოვეს აგრეთვე შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, პროფესორმა **ჯუანშერ ზალდასტანიშვილმა** და სპორტკლუბის თავმჯდომარემ **ჰამლეტ ათაბეგოვმა**.

თორნიკე გაჩეჩილაძე,
**აკადემიის I კურსის სტუდენტი.**

# საკანდელიძეზე წიგნის პრეზენტაცია

კაფე „მსოფლიო სპორტში“ მოეწყო პრეზენტაცია დავით ჭელიძის წიგნისა „კანდელი ზურაბ საკანდელიძისა“, რომელიც ეძღვნება საქართველოდან ყველა ტიტულოვანი კალათბურთელის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის ზურაბ საკანდელიძის ცხოვრებას და სპორტულ კარიერას.



ზურაბ საკანდელიძის პიროვნულ ღირსებებზე და ღვაწლზე ილაპარაკეს თანაგუნდელმა **გურამ მინაშვილმა**, მწერლებმა **გიზო ნიშნიანიძემ** და **ნუგზარ შატაიძემ**, ძმამ **ანზორ საკანდელიძემ**, მეუღლემ **მაცაცო საკანდელიძემ** და სხვებმა.

წიგნმა შეკრებილი საზოგადოებრიობის დიდი მოწონება დაიმსახურა.

**სურათზე:** წიგნის ავტორი დავით ჭელიძე, (მარცხნივ) და სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი (**ფოტო რობერტ ბაგოიანისა**).

როცა ჯერ 16 წლისაც არ ხარ...

# ლუბა გოლოვინა



არის სპორტის სახეობები, მათ შორის ოლიმპიური, რომლებიც იმდენად გააზალგაზრდავდა, უმაღლეს წარმატებებს მოჯარდები ჯერ კიდევ 16 წლამდე ასაკში აღწევენ. ბატუტზე ხტომაც ასეთთა რიცხვში შედის. ბოლო ხანებში, ალბათ, ბევრს სმენია სპორტის ამ სახეობაში საქართველოს ნაკრების ლიდერის **ლუბა გოლოვინას** თვალსაჩინო მიღწევების ამბავი. ეს გოგონა 1990 წლის 20 აპრილს დაიბადა თბილისში. ამჟამად 83-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეა. პირველი ნაბიჯები სპორტში გამოჩენილი მწვრთნელის **ვალენტინა კლიმოვას** და **ვალერი ჩხაბერიძის** ხელმძღვანელობით გადადგა. ამჟამად მამამისი **ვლადიმერ გოლოვინი** ავარჯიშებს, ნაკრების უფროსი მწვრთნელის **ზაურ სულაშვილის** ხელმძღვანელობით.

**წარმატებები:** I ადგილი რუსეთისა და მოსაზღვრე ქვეყნების IX და X სპარტაკიადების (1999, 2000) ჩემპიონი; 2001 წ: „ფრივოლტენის“ საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და მეორე ადგილი მსოფლიოს XV ახალგაზრდულ ჩემპიონატში; 2002 წ. „გრენცლანდის თასი“ (I) და „ნინსენის თასი“ A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი (II); 2003 — „ისლანდიის თასი“, საერთ. ტურნირი (I); 2004 წ: „დობროვოლსკის თასი“, A კატ. საერთ. ტურნირი (I) და მეორე ადგილი ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში; 2005 — მსოფლიოს ახალგაზრდული XVII ჩემპიონატი (I); არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი.

საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტია 2003 წლიდან.

# ნათლიებო, ჩააბით სპორტში ნათლულები...



**ირაკლი ქამადაძე** თბილისის 31-ე სკოლის VII კლასის მოსწავლეა. კრივს კი 2000 წლიდან „ვარდების ბაღში“ (ყოფილი გორკის პარკი) მდებარე დარბაზში ეუფლება უფროსი მწვრთნელის **ვასო ცერცვაძის**, მწვრთნელების **გია ცერცვაძის** და **ვალიკო ნადირაშვილის** ხელმძღვანელობით. კრივზე ნათლიამ — ყოფილმა მოკრივემ **მიშა ლეჟავამ** მიიყვანა.

თავის წონასა და ასაკში არის დ. კვაჭაძის XXII საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, წლეულს ივნისში, ვარიანში მოიგო საქართველოს პირველობა, სექტემბერში გახდა ევროპის მესამე პრიზიორი, რაც მის სპორტულ ბიოგრაფიაში ჯერჯერობით ყველაზე თვალსაჩინო მიღწევაა.

„ვარდების ბაღის“ კრივის დარბაზი კეთილმოუწყობელია, არაა ხარისხიანი და საკმაო ინვენტარი. არადა, აქ უამრავი მოზარდი კრივთან ერთად ცხოვრების ჯანსაღ წესს ითვისებს. ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ **ბესო ჯუღელს** და ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს **თენგიზ გონგაძის** დავალებით უკვე შეუდგენიათ შენობის რეკონსტრუქციის გეგმა, რამაც მწვრთნელებს და მათ შეგირდებს მდგომარეობის გამოსწორების იმედი ჩაუსახა.

სპორტი დევნილობაში

# ორიენტირი — პეკინი 2008 წ

ჩვენი ქვეყნის სპორტული დიდების საქმეში აფხაზეთის წარმომადგენლობას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის.

საქართველოს ამ უძველეს და უმშვენიერეს კუთხეში, რომელსაც შორეული წარსულიდან მოსდგამდა ხალხური ფიზიკური ვარჯიშებისა და თამაშების მდიდარი არსენალი, აღიზარდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენები. მათ შესახებ ბევრი დაიწერა, მაგრამ მე მინდა მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენო აფხაზეთის სპორტული ორგანიზაციების მიერ აღზრდილი საქართველოს სპორტის ოქროს ფონდში შესული სპორტსმენები: ფეხბურთელები — **ა. ღოღობერიძე, ვ. სანაია, ვ. მარღანია, ნ. ძიაპშიპა, ი. გრამატიკოპულო, ნ. სიმონიანი (ოლიმპიური ჩემპიონი), ბ. სიჭინავა, ა. ნორაკიძე, ვ. დარასელია, ვ. ბარქაია, ა. ცვეიბა, ა. ილიადი, ი. ვარდიმიანი**; „სროლის მაესტროდ“ წოდებული, საერთაშორისო კლასის ოსტატი სასტენდო სპორტში, სსრკ-ს და მრავალი საერთაშორისო შეჯიბრებების გამარჯვებული **კ. დარასელია**, საქვეყნოდ ცნობილი ცხენოსანი **ზ. სიმონია**; მოცურავეები **ნ. ლავრინენკო** და **ბ. ნიკიტინი**; ტყვიით მსროლელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე **მ. პაპავა**; მოჭიდავეები — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების მონაწილე **ვ. დგებუაძე**; ევროპის ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში **რ. ხუტაბა, ვ. მარშანია**, სსრკ-ს ოთხგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ვ. მაჩკალიანი**; მსოფლიო ორი გზის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში **ს. ტერნავიხი**; ევროპის ჩემპიონი ძალოსნობაში (შტანგა) **რ. ტარკილი**; ოლიმპიური თამაშების მონაწილე, ევროპის ჩემპიონი წყალში მხტომელი **მ. ჩაჩბა**; მსოფლიოს ჩემპიონი ტანვარჯიშში **ვ. ჯაიანი**, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები ფრენბურთში — **გ. ლუგაილო** და **ვ. დოროხოვი**; სსრკ-ს ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი და რეკორდსმენი ბირთვის კვრაში **ტ. ბიწაძე**; მძლეოსნები — მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი, ქვეყნის რეკორდსმენი შუბის ტყორცნაში **ს. გუმბა** და საქართველოს XX საუკუნის №1 სპორტსმენი, ოთხი ოლიმპიური თამაშების მონაწილე, სამჯერ ოლიმპიური ჩემპიონი, მისთვის მეოთხე ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანი, მსოფლიოს სამგზის რეკორდსმენი, სპორტსმენი — ლეგენდა **ვ. სანეევი**.




ვ. სანეევს უმაღლესი რანგის შეჯიბრებებში სამხტომში მოპოვებული აქვს 24 ოქროს მედალი, ის ოქროს მედლების რაოდენობითაც ქვეყნის რეკორდსმენია.

ეს იყო.

დღეს კი დევნილი სპორტსმენები, მიუხედავად უმძიმესი სოციალური მდგომარეობისა, ნაბიჯ-ნაბიჯ იბრძვიან სახელოვანი ტრადიციების აღსადგენად და გასაგრძელებლად. ამ გზაზე უპირველესი პრობლემა იყო სპორტული ორგანიზაციების სტრუქტურების აღდგენა და ფუნქციონირება დევნილობის პირობებში, რაშიაც დიდია საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დამსახურება.

თანდათანობით დევნილთა სპორტული ცხოვრება აღმავლობის გზით წავიდა, დღის წესრიგში დადგა სეოკ-ის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის ფუნქციონირების აღდგენა. თუ სპორტის დეპარტამენტს მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა და მის ფუნქციონირების აღდგენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, სულ სხვა მდგომარეობა იყო სპორტის ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილების საკითხში. მართალია, სეოკ-ის აფხაზეთის ორგანიზაცია 1989 წ. შეიქმნა, მაგრამ მისი საქმიანობა პარალიზებული იყო მრავალ გარემოებათა გამო. ნუ დაგვავიწყდება, რომ აფხაზეთში ეს ორგანიზაცია დაარსდა დიდი წინააღმდეგობების ატმოსფეროში.

დაიწყო აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტისა და სეოკ-ის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის ერთობლივი მუშაობა, ერთიანი ამოცანების, ერთიანი პრობლემების განხორციელებისათვის და შედეგმაც არ დააყოვნა.

ამოქმედდა სპორტული სექციები სპორტის ბევრ სახეობაში, მათ შორის: კალათბურთში, მძლეოსნობაში, სპორტულ აკრობატიკაში, ჭიდაობის ყველა სახეობებში, კრივში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ფარიკაობაში, ძალოსნობაში, კარატეს სახეობებში, ფეხბურთში და ცხენოსნობაშიც კი. მართალია, საკუთარი ცხენები არ გვყავს, მაგრამ ცხენოსნობის ფედერაციის დახმარებით, ჩვენს მწვრთნელებს და სპორტსმენებს მიეცათ მუშაობის საშუალება. აფხაზეთის დეპარტამენტი და სეოკ-ის რეგიონალური ორგანიზაცია რეგულარულად ატარებს სპორტულ მასობრივ და გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს დევნილთა კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში. რის შესახებ „ლელო“ ამ დღეებში უკვე წერდა.

სამწუხაროდ რამდენიმე ათეული მაღალი კლასის ფეხბურთელი ცხოვრების სიდუხჭირის გამო, საზღვარგარეთის გუნდებში თამაშობს.

აფხაზეთის სპორტული ცხოვრება თანდათან ძალას იკრებს, დევნილობაში ჩამოყალიბდა მუშაობის ადაპტაციური სტილი. გამოცდილების განზოგადოებამ შესაძლებელი გახადა დასახული ამოცანების ეფექტურად განხორციელება. სპორტსმენთა დახელოვნებას მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო სპორტული სკოლების გახსნამ განათლების სამინისტროს მიერ და დეპარტამენტის სპორტული ცენტრის დაარსებამ, სადაც მაღალი კვალიფიკაციის პერსპექტიული სპორტსმენები იმაღლებენ ოსტატობას.

ტარდება აფხაზეთის ჩემპიონატები და ღია პირველობები მძლეოსნობაში, ცხენოსნობაში. ჭიდაობის სახეობებში, ჭადრაკში, მშვილდოსნობაში და სხვა, სადაც თბილისისა და რეგიონების მრავალი სპორტსმენი მონაწილეობს. სამწუხაროდ, გვიწევს ომში დაღუპული სპორტსმენების სახელობის ტურნირების ჩატარებაც. მძლეოსნობაში — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების **ბ. კიუტის** და **ი. ჭედიას**, კალათბურთში — სპორტის დამსახურებული ოსტატის **ი. ძიძიგურის**, ხუთჭიდში — **ბ. მეფარიშვილის**, თავისუფალ ჭიდაობაში — **ზ. აზალაიას**, კარატეში — **შ. შარტავას**, ფეხბურთში საქართველოს სახალხო გმირის **ჟ. შარტავას** მემორიალი.



როგორც ზემოთ ითქვა, აფხაზეთის სპორტსმენთა წარმატებები დევნილობაშიც მნიშვნელოვანია. ესენია — მოჭადრაკეები: **რ. გოლეთიანი** — დიდოსტატი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი 14, 16, 18 წლის გოგონებს შორის; **ბ. ჯობავა** — დიდოსტატი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მონაწილე, მრავალი საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და პრიზიორი; **ქ. არახამია** — სსრკ-ს ჩემპიონი (1990 წ), მსოფლიო ოლიმპიადების, საერთაშორისო ტურნირების მონაწილე; **ტ. ბიწაძე** — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი რინგში (1996, 97, 98 წ), მსოფლიოს ჩემპიონი კიო კუშინკაი კარატეში (1999 წ); **ა. ბიწაძე** — მსოფლიოს ჩემპიონი რინგში (1999 წ); **ც. დაბაშია, ი. ნარმანია, ი. ბულისკირია**. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები არიან ცხენოსნობაში; საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულები და საქართველოს ახალგაზრდული გუნდის წევრებია: — **გ. გრიგოლია და დ. მთვარელიძე** (ორივე — ფარიკაობა); მძლეოსნები — **რ. დვინჯილია, ქარდავა, გ. ჩხაპელია**. აკრობატები ლ. ქარაია, მოჭიდავეები — **დ. მოძმანაშვილი, მ. ზარქუა, გ. ზარქუა** საქართველოს ჩემპიონები და ნაკრები გუნდის წევრები.

დღეისათვის დევნილ სპორტსმენთა ლიდერია **ლუკა კურტანიძე**. ეს ნიჭიერი სპორტსმენი თავისუფალი სტილით მოჭიდავე, სამაგალითოა არა მარტო სპორტსმენებისათვის. ლ. კურტანიძე რამდენიმეჯერ იყო დასახელებული საქართველოს რჩეულ სპორტსმენად. მისი ინიციატივით და ძალისხმევით, დაბა წყნეთში, სადაც 5000 მეტი დევნილი ცხოვრობს, გაიხსნა მისი სახელობის კეთილმოწყობილი საჭიდაო დარბაზი და, იმედია, იქ აღიზრდებიან მომავალი „კურტანიძეები“. დღეს ლუკა საუცხოო ფორმაშია, და ყველას ეიმედება, რომ პეკინის ოლიმპიადიდან ხელდამშვენებული ჩამოვა სამშობლოში. ამასთან, აფხაზეთიდან დევნილი ყველა სპორტსმენის ორიენტირი პეკინის ოლიმპიადაა.

ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის ხელმძღვანელმა სტრუქტურამ და სეოკ-ის რეგიონალურმა ორგანიზაციამ პეკინის ზაფხულის XXIX ოლიმპიური თამაშებისათვის საქართველოს ნაკრებ გუნდებში აფხაზეთის სპორტსმენთა მომზადების მიზნობრივი პროგრამა შეიმუშავა, რომელიც განსახილველად გადაეცა ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს.

სპორტის სამმართველოს გაანგარიშებით, საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებ გუნდებში აფხაზეთიდან სავარაუდოდ 8 კანდიდატი იქნება სპორტის ოთხ სახეობაში: თავისუფალ ჭიდაობაში — 3, ფარიკაობაში — 1, მძლეოსნობაში — 2 და ძალოსნობაში — 2, მათ მომზადებას მოემსახურება 4 მწვრთნელი. ყოველ სახეობაში თითო მწვრთნელი.

პროგრამა იწყება 2006 წ. იანვრიდან და გრძელდება 2008 წ ოლიმპიადის წინა პერიოდამდე. 2006 წ პროგრამის განხორციელებისათვის საჭიროა 7260 ლარი, სულ კი, 2008 წლის ჩათვლით, 20 000 ლარი. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კანონს „სპორტის შესახებ“ და მმართველი ნაციონალური პარტიის პროგრამას, პროგნოზი ობიექტურია, ის რეალობიდან გამომდინარეობს. იმედს გამოვთქვამთ, რომ აფხაზეთის მთავრობა მხარს დაგვიჭერს ამ მეტად მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელებაში.

ოთარ ვახანია,
**სეოკ-ის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გენერალური მდივანი.**

# შუქრი (შოთა) ქოჩლაძე



ქართული სპორტის ამაგდარ მუშაკთა რიგებს კიდევ ერთი დავაწლმოსილი ვეტერანი გამოაკლდა — 73 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი, ბრწყინვალე პიროვნება შუქრი (შოთა) ქოჩლაძე.

მთელი მისი ცხოვრება დაკავშირებული იყო სპორტთან. 1957 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. ერთი წელიწადი იმუშავა ფიზაღზრდის მასწავლებლად. 1958 წელს აირჩიეს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს თავმჯდომარედ, პარალელურად წვრთნიდა მძლეოსნებს. 1965 წელს ონის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ დააწინაურეს და მთელი 40 წელიწადი იმუშავა შეუცვლელად ამ თანამდებობაზე. ფაქტობრივად, ამ უნიჭიერესი ორგანიზატორის ხელმძღვანელობით მომძლავრდა სპორტი რაიონში, აღიზარდნენ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო, ევროპის და სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები. გარდა სპორტისა, როგორც ადგილობრივი საბჭოს დეპუტატს, მას დიდი წვლილი შეჰქონდა ცხოვრების სხვადასხვა სფეროს წინსვლა-განვითარებაში. დამსახურებულად მოიპოვა საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული, როგორც რაიონში და, საერთოდ, რაჭაში, ისე მთელი საქართველოს სპორტულ სამყაროში.

უაღრესად გულთბილი, მოსიყვარულე, სამაგალითო მეგობარი, კოლეგა, მეუღლე, მამა და ბაბუა — აი, ასეთი კაცი დააკლდა საქართველოს სპორტულ მოძრაობას, რაიონს, ოჯახს.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.

ვანის რაიონის სპორტკომიტეტი,
ვანის საზოგადოებრიობა.

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №36 (50) დეკემბერი, 2005 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საერთაშორისო ტურნირი ტრადიციულ კარატე-დოში ბათუმი 2005








## 25 დეკემბერი 2005, ბათუმი

## მონაწილეობენ თურქეთის და საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდები

## ორგანიზატორები: საქართველოს სპორტის დეპარტამენტი საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია აჭარის კარატე-დოს ფედერაცია კარატე-დოს კლუბი „ალიგატორი“

## კარატე — მეგობრობის დესანი



საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია წლის ბოლოს კიდევ ერთ ლამაზ სპორტულ ღონისძიებას გეგმავს! მინდა, რომ სხვა სპორტული ორგანიზაციებისთვის სამაგალითო გახდეს. მადლობა მინდა გადაგიხადოთ ბატონო კახა, თქვენ და მთლიანად თქვენს ფედერაციას, რადგან სპორტის უდიდეს დანიშნულებას ასრულებთ – დიდ მეგობრობას და ჯანსაღი მომავლის აღზრდას ურით საფუძველს ერთა შორის.

ტურნირის მონაწილეებო, მოგესალმებით! იმედი მაქვს, რომ ეს ტურნირი სერთაშორისო ჩემპიონატებში მალე ერთერთ განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს და მეგობრობის ნამდვილ სიმბოლოდ იქცევა.

გისურვებთ წარმატებას!

გიორგი ბარამიძე, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი

## ბათუმი კარატეს ქალაქია!



კარატე საქართველოში სპორტის ერთერთ პოპულარულ სახეობად იქცა, რასაც ბათუმის საერთაშორისო, უკვე ტრადიციად ქცეული ტურნირი, ადასტურებს. საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის მიზანს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ამართლებს – კარატეს და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას ეწევა, ასევე ერთა შორის ნამდვილი მეგობრობის დესპანიც გახდა.

მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველა მონაწილეს, გულშემატკივრებსა და, რა თქმა უნდა, ორგანიზატორებს, ასეთი დიდი სპორტული ღონისძიებისთვის. წარმატება მინდა გისურვოთ სპორტულ კარიერაში.

დავით ნამგალაური, საქართველოს სპორტის დეპატრამენტის თავმჯდომარე

## მასპინძელია – მეგობრობა!



ჩვენი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია ერთერთ საუკეთესოდ აღიარა მსოფლიოს კარატეს ფედერაციამ. მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ნამგალაურს, რომელიც მუდამ გვერდში უდგას ქართულ კარატეს. ასევე ჩვენი ფედერაციის ყველა ინსტრუქტორს, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ კარატეს პოპულარიზაცია-განვითარებისათვის. სწორედ ამიტომაც არის, რომ ქართულმა კარატემ არაერთხელ დაიპყრო მსოფლიოს კარატეს მწვერვალები.

ბათუმში ასეთი საერთაშორისო ტურნირი უკვე მეოთხედ ტარდება. ამ საერთაშორისო ტურნირს მსოფლიო კარატეს ფედერაცია დიდ ყურადღებას აქცევს და იმედია ერთერთ საუკეთესოთა შორის დააყენებს.

კახა ბასილია, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი

# 世界松濤館空手道連盟

# ბათუმი 2005

## საერთაშორისო ტურნირი ტრადიციულ კარატე-დოში

## 25 დეკემბერი 2005, ბათუმი

## მონაწილეობენ თურქეთის და საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდები

ორგანიზატორები:
საქართველოს სპორტის დეპარტამენტი
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია
აჭარის კარატე-დოს ფედერაცია
კარატე-დოს კლუბი „ალიგატორი“

მიზანი და ამოცანები:
ტრადიციული კარატე-დოს განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში
სპორტსმენთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება
პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა და შერჩევა

შეჯიბრის პროგრამა:
ინდივიდუალური და გუნდური შეჯიბრი კუმიტეში გაიმართება ვაჟებსა და გოგონებს შორის W KF-ის წესებით შემდეგ კატეგორიებში:
კუმიტე ბავშვები: 10, 11, 12, 13, 14, 15, 16 წლები
კუმიტე უფროსები +17წელი -65კგ; -70კგ; -75კგ; -80კგ; +80კგ.
გოგონები: -53კგ; -60კგ; +60კგ.

მსაჯობა:
ჩემპიონტზე იმსამსაჯებენ აზერბაიჯანის, სომხეთიდან, რუსეთის საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები;

დაჯილდოვება:
ტურნირში საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით.

შეჯიბრში მონაწილეობის პირობები:
ტურნირში მონაწილე ფედერაციებმა და კლუბებმა უნდა წარადგინონ განაცხადი: სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, წონითი კატეგორია, ბუდოპასპორტი, ექიმის თანხმობა და დაბადების მოწმობა.

შეჯიბრი ტარდება (W. K.F)-ის წესებით.
შეჯიბრის ჩატარების დრო და ადგილი: ტურნირი ჩატარდება 2005წლის 25 დეკემბერს, ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. №14, სპორტული კომპლექსი „ბასკო„

*დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციაში, უზნაძის ქ. №6, ტელ: 96-31-89.*

## მილოცვა





საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წამყვან ინსტრუქტორებს ულოცავს მეხუთე დანის მიღებას, რომელიც, წელს, 18 დეკემბერს მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის შეფინსტრუქტორმა, სენსეი ჰიტოში კასუიამ მიანიჭა მათ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ასეთ მაღალ რანგს მხოლოდ ეს სამი ინსტრუქტორი ფლობს. მათ ეს ტიტული მოიპოვეს რთული გამოცდის ჩაბარების შედეგად. როგორც წესი, მეხუთე დანზე გამოსაცდელთა 90 პროცენტი გამოცდას ვერ აბარებს. მათი მაგალითი მისაბაძია ახალგაზრდა ინსტრუქტორებისთვის. ისინი დღესაც საბრძოლო ფორმაში არიან და წარსულში დიდ წარმატებებს კვლავაც უმატებენ ახალ-ახალ გამარჯვებებს ქვეყნის და ერის სასახელოდ.

სურათებზე: მეხუთე დანის მფლობელი ინსტრუქტორები: ბესიკ ხუციშვილი, მამუკა ყურაშვილი, ნოდარ ხაჯიშვილი



## კლუბ „პატრიოტის“ საშობაო ტურნირი ტრადიციულ კარატე-დოში

### თბილისი, 24 დეკემბერი, 2005

ორგანიზატორები:
საქართველოს სპორტის დეპარტამენტი;
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია;
საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საკოორდინაციო საბჭო;
შეჯიბრის მიზანი და ამოცანა:
ტრადიციული კარატე-დოს პოპულარიზაცია;
სპორტსმენთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამარლება;
პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა;
შეჯიბრის პროგრამა:
ინდივიდუალური შეჯიბრი კუმიტეში (შობუ იპონი) 2 წთ., გაიმართება ვაჟებსა და გოგონებს შორის **WSKF**–ის წესებით შემდეგ კატეგორიებში:

1) კუმიტე უფროსებში: 18 წლის ზევით;
2) კუმიტე უმცროსებში: 4-5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12-13, 14-15, 16-17 წლებში.

შეჯიბრში მონაწილეობის პირობები:
შეჯიბრში მონაწილეობის მსურველმა კლუბებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი, სადაც აღინიშნება მონაწილის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს: ბუდოპასპორტი, ექიმის ვიზა, დაბადების მოწმობა. მონაწილეს თან უნდა ჰქონდეს კაპა და საზარდულის დამცავი ნიჟარა.
შეჯიბრი ჩატარდება **WSKF**–ის წესებით.
ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი: ტურნირი გაიმართება 2005 წლის 24 დეკემბერს. ასაწყისი 10 საათზე.
მისამართი: თბილისი, ვარკეთილის ზემო პლატო. II მ/რ., 160 ბაგა-ბაღის სპორტული დარბაზი.

## ღია ჩემპიონატი ჩხოროწყუში

წლის მიწურულს, 28 დეკემბერს, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ჩხოროწყუს კარატე-დოს ფედერაცია რაიონის ღია პირველობას გამართავს. როგორც ჩხოროწყუს კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტმა, მერაბ მამფორიამ განაცხადა ეს ტურნირი უკვე მეცხრედ ტარდება, ხოლო გაისად საიუბილეო 10 წლისთავს იზეიმებს უფრო მასშტაბური ტურნირით. მერაბ მამფორიას თქმით, ტურნირში 200-მდე საკმაოდ მაღალი რანგის სპორტსმენი იასპარეზებს.

ნუგზარ ჭიაბერაშვილი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

空手道

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, www.karate.ge
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ



სპორტული ცეკვები

# საქართველოს თასი – „საახალწლო თბილისი" – 2005

ეს ლამაზი ასპარეზობა, რომელიც ჰარმონიის ჭეშმარიტ ზეიმად იქცა, მუშთაიდის ბაღის საცეკვაო დარბაზში ჩატარდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის კლუბების სხვადასხვა ასაკის მოცეკვავეთა მონაწილეობით. ხარბიელზე 250-ზე მეტი მოცეკვავე წყვილი გამოვიდა.

წარმოგიდგენთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. **იუნიორი 2. 2 ცეკვა, უმცროსები:** 1. ერეკლე გირგვლიანი — ქეთი ოთიაშვილი („ელეგია"), 2. ირ. ანთაძე — თაკო კარამიანი, 3. დათო მახარაშვილი — ლანა კნიაზევა (ორივე წყ. — რუსთ; „მარცო"); **2 ცეკვა, მოზრდილები:** 1. ნიკა კასრაძე — მარი მხეიძე („თელა"), 2. შალვა და ლიკა მელაშვილები („ბლექპული"), 3. გიორგი ალთუნაშვილი — მარი აფციაური („მარცო"); **2 ცეკვა, დიდები:** 1. შალვა და ლიკა მელაშვილები, 2. ჯაბა დევნოსაძე — თამარ ცერცვაძე („ბლექპული"), 3. მორის მესხია — მაია დოლუაშვილი (კულტ. და ხელ. აკად); **6 ცეკვა, დიდები:** 1. გიორგი კახნიაშვილი — თამუნა მანჯგალაძე („მარცო"),



2. დიმა ხეთაგუროვი — ლიკა სულავა, 3. გიორგი კობერიძე — ნათია ჩიჩელაშვილი (ორივე წყ. „კარმენი"); **იუვინალი:** 1. ირაკლი გოლოძე — ქეთი ალავერდაშვილი, 2. გ. ტყეშელაშვილი — თათია ქუთათელაძე (ორივე წყ. „თელა"), 3. დათო სოლოღაშვილი — თამთა შიხაშვილი („ელეგია"); **იუნიორი** — 1: 1. რატი გაჩეჩილაძე — ეკატერინე გაბაშვილი („თელა"), 2. ლაშა დევიძე-შვილი — თეონა არჩია („მარცო"), 3. დემნა სიხაშვილი — ლიკა კაკალაშვილი („თელა"); **იუნიორი** — 2: 1. რატი გაჩეჩილაძე — სანა გაჩეჩილაძე („თელა"), 2. დათო მოსიურაძე — მარი ბეგიაშვილი („ელეგია"), 3. ნიკა ფილადაშვილი — თეონა კვეთილაშვილი („თელა"); **მიხეილ თბილის თასი — RUMBA:** 1. რაფიელ ანანიკიანი — ნინო ქოთოლაშვილი, 2. ზურაბ კიკაბიძე — სალომე ჰაჰუა (ორივე წყ. „თელა"), 3. ოთარ ბერაია — თამარ მეგრელიშვილი (უკლუბოდ); **6 ცეკვა, უმცროსები:** 1. ცოტნე ბლიაძე — სარა ყვავილაშვილი („მარცო"), 2. დიმ. ამირეჯიბი — სალომე ჯანიაშვილი, 3. ჯემალ მწითური — ანი გოლოძე (ორივე წყ. „თელა"); **8 ცეკვა, დიდები:** 1. იგორ დიკინოვი — სოფიკო ბაბუაძე („რევერანსი"), 2. ნიკა ჩიჩელაშვილი — ლელა ხურცილავა, 3. გიორგი მირიანაშვილი — ლიკა ამირანაშვილი (ორივე წყ. „თელა"); **Yonths+Adult (ST):** 1. ზურაბ კიკაბიძე — სალომე ჰაჰუა („თელა"), 2. ამირან ლაფაჩიძე — ანა გოგუა („რევერანსი"), 3. ნიკა გაჩავა — ჟულიანა ბარგნარი („თელა); **Youths+Adult (lt):** 1. რაფაელ ანანიკიანი — ნინო ქოთოლაშვილი, 2. ზურაბ კიკაბიძე — სალომე ჰაჰუა, 3. ნიკა გაჩავა — ჟულ. ბარგნარი (ყველა — „თელა"); **სოლო, 2 ცეკვა (12 წლამდე):** 1. ანა ესოიანი, 2. ელენე გირგვლიანი, 3. ლელა ქობულაძე; **12 წელს ზევით:** 1. ნინო ივანიშვილი, 2. თეონა კველიშვილი, 3. ნიკე კეშელავა; **სოლო, 4ც. (12 წლამდე):** 1. ნათია ოქრუაშვილი, 2. სალომე გიგაური, 3. ნინო მოსიაშვილი; **13 წლის ზევით:** 1. მარი გელბახიანი, მარი ქოჩორაშვილი, 3. ქეთი როსტომაშვილი (ორივე „თელა"); **სოლო, 5 ცეკვა (13 წლამდე):** 1. ქეთი სიჭინავა, 2. მარიამ ჯოჯუა, 3. ალინა ხაჩატუროვა (სამივე-„თელა"); **13 წლის ზევით:** 1. გვანცა ციხელაშვილი, 2. მაია არაბიანი, 3. ვერიკო ბაინდურაშვილი (სამივე — „თელა").

**თამუნა ჯანვერდაშვილი.**



# ადაპტიური ფიზიკური აღზრდა განათლების სისტემაში

თბილისის ერთ-ერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეზოში ფიზიკური აღზრდის გაკვეთილი ტარდებოდა.როგორც დამახასიათებელია ასეთი გაკვეთილისათვის, სიცოცხლე და ხალისი იდგა ირგვლივ. მოსწავლეები დიდი მონდომებით ასრულებდნენ მასწავლების დავალებას.

ჩემი ყურადღება მიიპყრო გვერდით მოწყენით მდგომმა ორმა ბავშვმა. ერთი საინვალიდო ეტლში იჯდა, მეორე კი მის გვერდით იდგა და უხერხულად ედგა ერთი ფეხი. მათ თვალებში უსაზღვრო სევდა შევნიშნე, გამოვიკითხე. აღმოჩნდა, რომ ამ ბავშვების თანაკლასელები ყოფილან და მათი არაქმედითუნარიანობის გამო ვერ ასრულებდნენ იმ დავალებებს, რომელიც გაკვეთილზე ისწავლებოდა. მათი უმოქმედობა (გვერდზე დგომა) კიდევ უფრო მძაფრად უსვამდა ხაზს მათ პრობლემას.

სკოლას იმიტომ არ ვასახელებ, რომ არაეთიკურია, გამვლელმა კაცმა წერო იმაზე, რაც შეუსწავლელია. მერე - უბრალოდ, ფიზაღზრდის მასწავლებელმა არ იცოდა არაქმედითუნარიანებთან გაკვეთილის ჩატარების მეთოდიკა. არ იცოდა, იმიტომ კი არა, რომ მას თავის საქმეში პროფესიონალიზმი და გამოცდილება აკლია, არამედ, გასულ წლებში არ იყო სახელმწიფოებრივი ნება მომზადებულიყო ისეთი სპეციალისტები, რომლებიც ქმედითუნარიანებთან ერთად ან პარალელურად არაქმედითუნარიანებსაც ასწავლიდა, მით უმეტეს, ფიზაღზრდას, რომელიც, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო მნიშვნელობის საგანია ორივე კატეგორიის მოსწავლეთათვის.

თანამედროვე მსოფლიოში არაქმედითუნარიანთათვის დიდი მუშაობა მიმდინარეობს მათი რეაბილიტაციისა და სოციალიზაციის მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღზრდის და განათლების პრობლემებს. ერთ-ერთი მათგანია ახალი პედაგოგიური მიმართულება, რომელიც ცნობილია "ადაპტიური ფიზიკური აღზრდის" სახელწოდებით. ამ მიმართულებამ დიდი აღიარება ჰპოვა მთელ მსოფლიოში და შემოვიდა როგორც ახალი სპეციალიზაცია და სასწავლო დისციპლინა მრავალი ქვეყნის ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში.

ადაპტიური ფიზიკური აღზრდის ობიექტია არა ჯანმრთელი, არამედ, არაქმედითუნარიანი, ინვალიდი ადამიანი. ამიტომ მათი ფიზიკური აღზრდა მოითხოვს ამოცანის გადაწყვეტის არა მარტო მნიშვნელოვან,ხანდახან პრინციპულ ტრანსფორმაციას (აღსაზრდელის დიაგნოზის, მისი ფიზიკური მდგომარეობის, საკორექციო სამუშაოების მიმართულების და ა.შ. გათვალისწინებით). სწორედ ამიტომ ეწოდა ადაპტიური ფიზიკური აღზრდა. ესაა ახალი მიმართულება და მიზნად ისახავს არაქმედითუნარიანების ორგანიზმის ფუნქციონალური შესაძლებლობების მაქსიმალურ დონემდე განვითარება - სრულყოფას ფიზიკური ვარჯიშების, ბუნებრივი ფაქტორების და ჰიგიენური საშულებების გამოყენებით. იგი წარმოადგენს ფიზიკური რეაბილიტაციის და სოციალური ინტეგრაციის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც ხორციელდება პედაგოგიური მეთოდებით, სტიმულირებს ორგანიზმის ნარჩენი ფუნქციების განვითარების გზით ყოფაცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას და დამოუკიდებლობის მაქსიმალური დონის მიღწევას. თუ მედიცინის ამოცანაა დაავადების მკურნალობა, ადაპტიური ფიზიკური აღზრდის ამოცანაა შეამციროს უნარშეზღუდულობის დონე, რომელიც თვით დაავადებიდან არის წარმოშობილი (გამოწვეული). უნარშეზღუდულ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს უნარ-შესაძლებლობების მთელი სპექტრი, რომელიც რეალურად არასდროს გამოუვლენია, მის განვითარებასთან და ზრდასთან ერთად არ მომხდარა უნარ-ჩვევების განვითარება, მათი გადატანა რეალურ ქცევაში, ფიზიკურ მოქმედებაში და მოძრაობითი გამოცდილების შეძენაში. ადაპტიური ფიზიკური აღზრდის პროცესში ხდება იმ მოძრაობითი უნარ-ჩვევების შეძენა, აღდგენა და განვითარება, რომლებიც უმნიშვნელოვანესია მათი დამოუკიდებელი ფუნქციონირებისათვის. საშუალებას აძლევს ისწავლოს და გამოიყენოს თავისი ფიზიკური, ემოციონალური, კოგნიტური, ფუნქციონალური და სოციალური პოტენციალი. ეხმარება იმ სფეროში, სადაც მისი განვითარება შეჩერებულია და არ განიცდის პროგრესს. აძლევს იმ ბაზისური უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობას, რომლებზედაც დააშენებს უფრო რთულ და კომპლექსურ უნარებს. ადაპტიური ფიზიკური აღზრდის ამოცანაა თავისი უსაზღვრო შესაძლებლობების ზეგავლენით ფიზიკურ განვითარებასთან ერთად, მოსწავლეებს აუმაღლოს ადამიანებთან ურთიერთობის და საზოგადოებაში ქცევის კულტურა და ამით გამოუმუშაოს ადაპტიური ქცევა.

ამიტომ, ადაპტიური ფიზიკური აღზრდის დანერგვა განათლების სისტემაში წარმოადგენს რა აუცილებელ მოთხოვნილებას, ამისათვის უნდა მომზადდეს სათანადო კადრები, მით უმეტეს, ამის პირობები არსებობს ჩვენს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში. აქ წლების მანძილზე (1997 წლიდან) მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ადაპტიური ფიზიკური აღზრდის და სპორტის აქტუალურ საკითხებზე, სადაც გარკვეული მიღწევები არსებობს. აღნიშნული მიმართულების სპეციალისტთა მომზადება საშური საქმეა და რაც უფრო მალე იქნება სახელმწიფოებრივი ნება ამ მიმართებით, მით უფრო ხარისხიანი იქნება ის სასკოლო რეფორმა, რომელიც საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმატებით მიმდინარეობს.

**თეიმურაზ მიქიაშვილი,**
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ასოცირებული პროფესორი, სპორტის დამსახურებული მუშაკი.

# სიმართლე უნდა დადგინდეს

**21 დეკემბერს თბილისის „დინამოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე შეხვდა პრესის წარმომადგენლებს და მათ თავისი მოსაზრება გაუზიარა მწვრთნელთა კვალიფიკაციის შესახებ. აი, რა თქვა მან:**



„1998 წელს უეფამ შექმნა კონვენცია, რომლის მიზანია მწვრთნელთა განათლება-ლიცენზირება, რათა მათ შესაძლებლობა მიეცეთ თავიანთი კვალიფიკაციის შესაბამისად იმუშაონ ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში. კონვენციას შეუერთდა საქართველოც. არის „ბ", „ა" და უმაღლესი „პროფესიული" კატეგორიები. „ბ" კატეგორია საქართველოში 70-მდე მწვრთნელმა გაიარა. მე დამთავრებული მაქვს ფიზკულტურის ინსტიტუტი და ასპირანტურა. გავიარე მწვრთნელთა კურსები მალტაში და მაქვს შესაბამისი დიპლომი. იმისათვის, რომ მოვიპოვო მწვრთნელთა „ა" კატეგორია, გავლილი უნდა მქონდეს „ბ" კატეგორია, რომლის მოსაპოვებლად, უეფას კანონების თანახმად, საჭიროა ან შესაბამისი კურსების გავლა, ან დამსახურებით მომენიჭოს იგი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ, მე როგორც მალტის კურსების დიპლომატი, უფლება მაქვს მწვრთნელებს წავუკითხო ლექციები სემინარებზე. როგორც მწვრთნელს, ჩემი პრაქტიკული საქმიანობითა და შედეგებითაც მეკუთვნის „ბ" კატეგორია, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციიდან რატომღაც ნებას არ მრთავენ გავიარო კურსები.

ამის გამო, [illegible] გავაგზავნე უეფაში, ჩემი მალტის საბუთითა და პრაქტიკული საქმიანობით მეკუთვნის თუ არა „ბ" კატეგორია. პასუხი მივიღე უეფას ტექნიკური განათლების მენეჯერ **ფრანკ ლუდოლფისაგან**, ანუ პიროვნებისაგან, რომელიც არის ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური ამ საკითხებში. პასუხი მიუვიდა ბატონ **გაიოზ დარსაძესაც**. იქ წერია, რომ უეფა ვერ დაავალებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, არ ჩაერევა ადგილობრივ საქმეებში, მაგრამ ურჩევს, რომ საკითხი დადებითად გადაწყვიტოს. რაკი საკითხი გადაუწყვეტავია, ხელი მეშლება სამუშაოდ წავიდე რომელიმე გუნდში. უნდა გითხრათ, რომ მოწვევა მაქვს საზღვარგარეთიდანაც.

ჩემი აზრით, საქმე გვაქვს შეგნებულ წინააღმდეგობასთან. როგორ შეიძლება ახალგაზრდა თუ გამოცდილი ან დამსახურებული მწვრთნელები ერთ ტაფაში მოათავსო და ახალგაზრდას ნიჭიერება დაუკარგო, დამსახურებულს — მიღწევები. თავის დროზე „ბ" კატეგორია არ მისცეს **რეზო ძოძუაშვილს** და **მურთაზ ხურცილავას.** ამავე დროს იმ 70-მდე მწვრთნელისგან, რომლებსაც „ბ" კატეგორია აქვთ გავლილი, უმეტესობა უმუშევარია. ეს ყველაფერი კეთდება შეგნებულად, რომ ყველაფერი იყოს ფედერაციის ხელში".

**ომაზ ჩხეიძე**

**რედაქციისაგან: როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გაიოზ დარსაძეს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გააჩნია თავისი არგუმენტები. მადლობელი ვიქნებით, თუ ამ არგუმენტებს ბატონი გაიოზ დარსაძე „ლელოს" მკითხველებსაც გაუზიარებს.**

# SOS! – „უბურთო ფეხბურთი" – 2006! ანუ ვის გიყვართ – ფეხბურთი?! – ძლიერ?!

36 წლის წინათ შექმნილი „უბურთო ფეხბურთი" — (ავტორები **ლერი სიხარულიძე** და **გელა კანდელაკი**) თანამედროვე ევროპული და ამერიკული ფეხბურთის სანახაობითი და ტექნიკური დონის ფონზე — ულმეროდ შემოგვაბერდა!

შემოგვაბერდა, ოღონდ, არა **კინოდრამატურგიული, კინოიდეოლოგიური,** თუ **კინომონტაჟური** ოსტატობის თვალსაზრისით.

ცხოვრებაც და ფეხბურთიც ერთნაირად გარბიან წინ და დღეს „ადგილობრივ" ქართულ ტელეკომპანიებშიც უკვე უზარმაზარი (ემოციურადაც და გეოგრაფიითაც) — ვიდეომასალის „მარაგიდან," — მხატვრული ძალით ახლოსაც ველარ მივა 1968-1969 წლებში „ქურდობით" და ჩამომათხოვრობით „Конбас"-ებზე დაფიქსირებული „იმდღევანდელი — ვაიუშველებობანი" საბჭოური ფეხბურთისა, (თუმცა კი ქართველებისთვის უძვირფასესი კადრ-მასალებითურთ).

და აი, ვბედავ!

„უბურთო ფეხბურთის" ხედვა თუ კონსტრუქცია არ დაძველებულა! იგი მარად ახალია და ასე იქნება, სანამ ფეხბურთი და ადამიანი იცოცხლებს გვერდ-გვერდ!

ამიტომ, დავიჯერო ალარავის უყვარს ფეხბურთი ისე — („შემძლეთაგან"!), რომ გვერდში ამომიდგეს, (უკვე მთელი ბრიგადაა საჭირო!) — „უბურთო ფეხბურთის" „Rimake"-ის (განმეორების!!) შესაქმნელად, თუნდაც ოდენ თანამედროვე ევროპულ ფეხბურთში ვიდეო ჩახედვით ან იქიდან უძვირფასესი მასალის „ამოქექვით" და მათი ერთად შენივთებით, როგორც ეს გავბედეთ „უბურთოში" —?!?!

მით უმეტეს, რომ დღეს, აფროსამხრეთამერიკული და აზიური „სისხლის" ასე თამამად აღრევით და შენივთებით, ევროპული საკლუბო ფეხბურთი არამცთუ წარმოუდგენლად აჭარბებს ერთ დროს ჩვენს მიერ მიგნებული მონტაჟის და სისტემის ავტორთა აზროვნებისას!

— „მეტი" და „მეტი", იგი, ევროპული ფეხბურთი მსოფლიო პირველობა უფროა, ვიდრე „ევრო!!"..

მით უმეტეს, ეს „რიმეიკი" — „„უბურთოსი" თავისუფლად შეიძლება მოესწროს — მორიგი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელთაც, ვიმეორებ, ევროპული ჩემპიონატები ნამდვილად აჭარბებენ სანახაობითაც და ოსტატობისა და განცდის სისავსითაც.

ანუ იმით, რასაც ფეხბურთის დღესასწაული ჰქვიან! ამიტომ — „SOS"

ვის გიყვართ ფეხბურთი?!
ეს აღარ იქნება რიმეიკი!
იგი ახალი ფილმი იქნება!

**ლერი სიხარულიძე,**
კინორეჟისორი.
ერთ დროს კლასიკად მიჩნეული „უბურთო ფეხბურთის" ერთ-ერთი ავტორი.

თუ სხვაგან ვერ მოახერხეთ, „ლელოს" შეძენა ყოველთვის შეგიძლიათ გამომცემლობა „სამშობლოს" (კოსტავას ქ.14) წინ, გამავრცელებელთან.

„ლელოზე" ხელმოწერა გრძელდება

3 თვით — 10 ლარი და 80 თეთრი
6 თვით — 21 ლარი და 60 თეთრი
ხელმოწერის გასაფორმებლად გირჩევთ მიმართოთ „საქპრესას", „მაცნეს", „ინფოსერვისს", „უწყებანს"

# თბილისის «დინამოში» ფრანგი და ლადო გამოჩნდა

კახა ცხადაძის შეგირდებმა საწვრთნელი შეკრება დაიწყეს. გუნდი პირველ ვარჯიშებს შინაურ ბაზაზე ჩაატარებს. კლუბში ერთი სიახლეა. „დინამოში" გასინჯვაზე ფრანგი 19 წლის ფეხბურთელი ჟულიენ ოლბეკი იმყოფება. იგი გუნდთან ერთად გაივლის მოსამზადებელ ეტაპს და მერე გადაწყდება მისი კლუბში დარჩენის საკითხიც. გუნდს ციურიხიდან დაუბრუნდა ლადო ახალაიაც. „დინამო" იანვარში დსთ-ს ქვეყნების ტურნირში იასპარეზებს და შემდეგ უცხოურ შეკრებაზე გაემგზავრება, სეზონს კი თებერვალში სათასო პაექრობით გახსნის. თბილისელები ახალ წლამდე ორი საწვრთნელი მატჩის გამართვასაც გეგმავენ.

# გორის «დილა» სამხედროში?

გორელთა კლუბს პრობლემები მოძალებია და მშველელს ელის. სავსებით შესაძლებელია, გუნდს პატრონად თავდაცვის სამინისტრო მოევლინოს, მაგრამ ამ დროისთვის ეს ინფორმაცია, მხოლოდ, მსჯელობის დონეზეა და მეტი არაფერი. თუმცა, ვნახოთ, ცოტაც მოვითმინოთ, ეგებ თავის დროზე თვითმყოფად გუნდს მართლაც გამოუჩნდეს ნაღდი მოჭირნახულე და „დილაც" გათენდეს.

# «სიონი» გაძლიერდება

ეროვნული პირველობის მეორეადგილოსანი ბოლნისური კლუბი მეორე წრის მოსამზადებელ ეტაპს ძლიერი შემადგენლობით შეხვდება და განახლებულ სეზონშიც მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. გუნდის მესვეურთა განმარტებით კლუბი ჩამოყალიბებულ, დაკომპლექტებულ სახეს 25 დეკემბრისთვის მიიღებს და წვრთნასაც შეუდგება. „სიონს" დაემატა ყოფილი ლოკომოტიველი **ირაკლი სირბილაძე,** შესაძლებელია, თბილისური გუნდიდან კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი აღმოჩნდეს „სიონის" რიგებში. გუნდში მოელიან სხვა ძლიერ ფეხბურთელებსაც.

# «ტორპედო» ფეხზე დადგება

ქუთაისური გუნდის ბედი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვითარება გამოსწორდა და ტორპედოელებიც სულს მოითქვამენ და, იმედია, ჩემპიონატის მეორე წრეს გაცილებით უკეთ ჩაატარებენ. **რევაზ ბურკაძის** შეგირდები 4 იანვარს, საღორიის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბებიან და მზადებასაც დაიწყებენ. კლუბის ხელმძღვანელებმა ყველა დავალიანება გაისტუმრეს და ახლა, რამდენიმე ფეხბურთელით კლუბის გაძლიერებაზეც დაიწყეს ფიქრი. თუმცა, ძირითადი აქცენტი მაინც ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გაკეთდება. გუნდის უმთავრესი მიზანი ათეულში დამკვიდრებაა.

# გოგუა „სპარტაკში" მიდის

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა**, რომელიც მეკარე **გიორგი ლომაიასთან** ერთად რუსული „ხიმკის" ღირსებას იცავდა, ახალ კლუბს ეძებს. „ხიმკი", ფაქტობრივად, დაიშალა და ქართველი ფეხბურთელისადმი ინტერესი წლეულს რუსეთის პრემიერლიგაში აღზევებულმა ნალჩიკის „სპარტაკმა" გამოთქვა.

# ქართველები უკრაინაში

შესაძლებელია, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდები მიხეილ აშვეთია და გიორგი დემეტრაძე დონეცკის „მეტალურგში" აღმოჩნდნენ. კლუბი და ფეხბურთელები ფინანსებზე მოილაპარაკებენ და საფეხბურთო კარიერას უკრაინაში გააგრძელებენ. მიშა მეტალურგელებს როსტოვიდან, ხოლო გიორგი ვლადიკავკაზიდან შეუერთდებიან.



# დღეს იწყება...

დღეს, სპორტის სასახლეში იწყება „ბენდელას თასის" გათამაშება. შეხვედრები 15 საათსა და 30 წუთზე დაიწყება, ტურნირი „ნაძალადევისა" და „ნაციონალების" თამაშით გაიხსნება. შემდეგი შეხვედრების განრიგი ასეთია:

16.20 „ირაო — „იამაჰა"
17.10 „დინამო" (ახალგაზრდული) — „სკონტო — აკადემია".
18.00 „სიონი" — „დინამო" (ვეტერანები)
18.50 „სეუ2" — „ჩიხურა".
19.40 „სეუ" — „საბურთალო"

**24 დეკემბერი**

15.30 „ჩიხურა" — „სკონტო — აკადემია"
16.20 „საბურთალო" — „იამაჰა"
17.10 „დინამო" (ვეტერანები) — „ნაციონალები"
18.00 „სიონი" — „ნაძალადევი"
18.50 „სეუ2" — „დინამო" (ახალგაზრდული)
19.40 „სეუ" — „ირაო"

**25 დეკემბერი**

15.30 „ირაო" — „საბურთალო"
16.20 „ნაძალადევი" — „დინამო" (ვეტერანები).
17.10 „დინამო" (ახალგაზრდული) — „ჩიხურა":
18.00. „სიონი" — „ნაციონალები"
18.50 „სეუ2" — „სკონტო" — აკადემია"
19.40 „სეუ" — „იამაჰა".

**26 დეკემბრისათვის ცნობილი გახდებიან მეოთხედფინალისტები 27 დეკემბერს ჩატარდება ნახევარფინალის მატჩები. 28 დეკემბერს კი გამარჯვებული გამოვლინდება.**

ლ. ჯანკოტაძე.

# საქართველოს ჩემპიონატი ფუტსალში

**XI ტური**

ბერმუხა — სოხუმი 6-5
საბურთალო — იმედი 8-5
ნიკორა — იბერია 3-2
აჭარა — ცენტრპოინტი 2-6

**XII ტური**

იბერია — სოხუმი 7-3
აჭარა — ქართლი 7-4
ცენტრპოინტი — ბერმუხა 12-3
ნიკორა — საბურთალო 7-10

**XII ტური**

სოხუმი — საბურთალო 8-13
ქართლი — ნიკორა 4-6
აჭარა — იმედი 7-2
იბერია — ბერმუხა 8-7

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცენტრპ. | 11 | 10 | 0 | 1 | 88-42 | 30 |
| საბურთალო | 12 | 9 | 2 | 1 | 96-51 | 29 |
| იბერია | 12 | 8 | 2 | 2 | 65-45 | 26 |
| ნიკორა | 12 | 8 | 0 | 4 | 65-53 | 24 |
| აჭარა | 11 | 5 | 1 | 5 | 54-53 | 16 |
| ბერმუხა | 12 | 3 | 2 | 7 | 59-86 | 11 |
| იმედი | 11 | 2 | 1 | 8 | 53-69 | 7 |
| ქართლი | 19 | 1 | 1 | 8 | 39-66 | 4 |
| სოხუმი | 11 | 0 | 1 | 10 | 57-111 | 1 |



# ჭაბუკთა ლიგა

**ჭაბუკთა შორის ს. მეტრეველის სახელობის თასის სამეგრელოს რეგიონის 2005-2006 წწ გათამაშების I – ეტაპის (I-II - წრე) გათამაშების ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები (ზუგდიდი) | 10 | 7 | 1 | 2 | 36-12 | 22 |
| ოლიმპია (ზუგდიდი) | 11 | 7 | 1 | 3 | 47-16 | 22 |
| ოლიმპია (ხობი) | 11 | 7 | 1 | 3 | 37-20 | 22 |
| მგლები 2 (ზუგდიდი) | 10 | 6 | 1 | 3 | 27-21 | 19 |
| განათლება (ხობი) | 10 | 4 | 0 | 6 | 19-20 | 12 |
| დინამო 3 (სოხუმი) | 3 | 0 | 1 | 2 | 3-17 | 1 |
| სქური (წალენჯიხა) | 11 | 0 | 1 | 10 | 10-69 | 1 |

**ჭაბუკთა შორის ვ. დარასელიას სახელობის თასის სამგრელოს რეგიონის 2005-2006 წლების გათამაშების I წრის ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზუგდიდი2 | 10 | 9 | 1 | 0 | 52-11 | 28 |
| კოლხეთი 3 (ფოთი) | 10 | 7 | 1 | 2 | 26-12 | 22 |
| მგლები (ზუგდიდი) | 10 | 6 | 2 | 2 | 30-13 | 20 |
| ფაზისი (ფოთი) | 10 | 6 | 1 | 3 | 42-22 | 19 |
| სქური (წალენჯიხა) | 10 | 6 | 0 | 4 | 19-27 | 18 |
| იმედი (ლესიჭინე) | 10 | 5 | 2 | 3 | 23-14 | 17 |
| კოლხები (ხობი) | 10 | 5 | 0 | 5 | 19-17 | 15 |
| ტეხურა (სენაკი) | 10 | 3 | 1 | 6 | 21-21 | 10 |
| განათლება (ხობი) | 10 | 2 | 2 | 6 | 16-34 | 8 |
| ოლიმპია (ხობი) | 10 | 1 | 0 | 9 | 6-31 | 3 |
| ენგური (ჯვარი) | 10 | 0 | 0 | 10 | 11-63 | 0 |

**ჭაბუკთა შორის გ. გაბისკირიას სახელობის თასის სამეგრელოს რეგიონის 2005-2006 წლების გათამაშების I წრიის კალენდარი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რიონი (აბაშა) | 9 | 8 | 1 | 0 | 35-13 | 25 |
| მგლები 2 (ზუგდიდი) | 9 | 7 | 0 | 2 | 32-22 | 21 |
| მგლები (ზუგდიდი) | 9 | 7 | 0 | 2 | 27-9 | 21 |
| კოლხეთი 4 (ფოთი) | 9 | 6 | 1 | 2 | 32-17 | 19 |
| ოლიმპია (ხობი) | 9 | 4 | 2 | 3 | 24-19 | 14 |
| განათლება (ხობი) | 9 | 3 | 1 | 5 | 16-20 | 10 |
| ფაზისი (ფოთი) | 9 | 3 | 0 | 6 | 20-32 | 9 |
| სპორტკომ. (წალენჯიხა) | 9 | 2 | 2 | 5 | 21-32 | 8 |
| მაფალუ (ჩხოროწყუ) | 9 | 1 | 1 | 7 | 11-28 | 4 |
| ბერმუხა (დიდიჭყონი) | 9 | 0 | 0 | 9 | 6-32 | 0 |

# კლუბების ლიცენზირების სიახლეები

კლუბების ლიცენზირების პროცესის აუცილებლობა და მნიშვნელობა კიდევ ერთხელ აღინიშნა 20 სექტემბერს გამართულ სფფ-ს კლუბების ლიცენზირების სისტემის სხდომაზე, რომელსაც სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების ხელმძღვანელები, წევრები და ექსპერტები ესწრებოდნენ. სხდომა გახსნა სფფ-ს პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა.** მან დაწვრილებით ილაპარაკა იმ პრობლემებზე, რაც დღევანდელ ქართულ საკლუბო ფეხბურთშია და თუ სიტუაცია მკვეთრად არ გამოსწორდება სავალალო შედეგებს მივიღებთ — აღნიშნა პრეზიდენტმა. როგორც ცნობილია, 2008-09 წლიდან ლიცენზიის მიღება სავალდებულო გახდება ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად. ამიტომ კლუბებმა აქედანვე უნდა დაიჭირონ თადარიგი, გაერკვნენ სიტუაციაში, მიიღონ გამოცდილება, რათა შემდგომ ერთბაშად მრავალი პრობლემის წინაშე არ დადგნენ და ლიცენზირებული კლუბების არასაკმარისი რაოდენობის გამო, ეროვნული ჩემპიონატის გარეშე არ დავრჩეთ. კლუბების ლიცენზირების მენეჯერმა **ლალი ლობჟანიძემ** ილაპარაკა მუშაობის ასპექტებზე. სპორტული, ინფრასტრუქტურული, საკადრო-ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ფინანსური კრიტერიუმების შესრულებისას გასულ სეზონში კლუბებთან მუშაობისას წამოჭრილ პრობლემებზე და მომავლის პერსპექტივებზე. სხდომაზე მოისმინეს ძირითადი პროცესის დეტალური განმარტება-ლიცენზირების მენეჯერის მოადგილემ **ალექსანდრე ხომერიკმა** დამსწრეთ გააცნო ლიცენზირების სახელმძღვანელო, მასში შესული ცვლილებები და დამატებები, ლიცენზირების მიმდინარეობის უეფასეული მოთხოვნები და მათი შესრულების წესები. სფფ-ს საკლუბო ლიცენზირების მასმედიასთან, კლუბებთან და თანამშრომლებთან, კლუბებთან ურთიერთობის მენეჯერმა — **ბაქარ ჟორდანიამ** ილაპარაკა იმ დოკუმენტაციის შედგენის წესებზე, რომლებიც კლუბებმა უნდა წარმოადგინონ. სხდომაზე განიხილეს საკლუბო ლიცენზირების განყოფილების სტრუქტურა და თითოეული წევრის ფუნქციები, ძირითადი პროცესის მსვლელობის წესი. კლუბების ლიცენზირების პროცესი სრული დატვირთვით იანვრიდან დაიწყება. მანამდე, რამდენიმე დღეში, სფფ-ს კლუბების ლიცენზირების სისტემის მუშაობას უეფას მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი აუდიტი შეამოწმებს. თებერვალში კი, თბილისში გვეწვევიან უეფას კლუბების ლიცენზირების ხელმძღვანელები **მარსელ ბენცის** მეთაურობით, რომლებიც უშუალოდ ადგილზე გაეცნობიან ლიცენზირების სისტემის ფუნქციონირებას საქართველოში და ისაუბრებენ უეფას გეგმებზე კლუბების ლიცენზირების საკითხში.

# საფეხბურთო პროფკავშირს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

**ოთხშაბათს ქართული ფეხბურთის საზოგადოებრიობამ ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირის ახალი ხელმძღვანელი აირჩია. საანგარიშო — საარჩევნო V ყრილობაზე მოისმინეს პროფკავშირის ახლა უკვე ყოფილი თავკაცის ილია მჭედლიშვილის მრავალწლიანი მუშაობის სრული ანგარიში, საკონტროლო — სარევიზიო კომისიის ანგარიში, შეიტანეს ცვლილებები და დამატებები წესდებაში და აირჩიეს ახალი თავმჯდომარე. ყრილობის 29 დელეგატმა (ორ ყრილობას ვერ დაესწრო) საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარედ ოთხი წლის ვადით, ერთხმად აირჩია ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელი სერგო კოტრიკაძე..**

# მწვრთნელები მერხებს მიუსხდებიან

**ახალი წლის წინა დღეებში ქართველი მწვრთნელები რვეულს და კალამს მოიმარჯვებენ და სწავლას შეუდგებიან.** ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრში, ორშაბათს 26 დეკემბერს, სფფ-ს ტექნიკური დირექტორის და მწვრთნელთა განათლების ხელმძღვანელის **გაიოზ დარსაძის** თაოსნობით „ა" კატეგორიის მწვრთნელთა კურსები დაიწყება. ფეხბურთის ფედერაციამ აღნიშნული კატეგორიის ლიცენზიის გაცემის უფლება ახლახან მიიღო, შესაბამისად კურსებიც პირველად ჩატარდება. კურსებში და მწვრთნელთა მომზადების სემინარში მონაწილეობა შეუძლიათ იმ მწვრთნელებს, რომლებსაც მიღებული აქვთ „ბ" ლიცენზია და გააჩნიათ მუშაობის სულ მცირე, ერთი წლის სტაჟი. ტრადიციულად სემინარ-ლექციებს ქართველებთან ერთად, უცხოელი სპეციალისტებიც გაუძღვებიან.

# ეროვნული ნაკრები ჩამოაქვეითეს

**ფიფამ ნოემბრის სანაკრებო რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით ჩვენი ეროვნული გუნდი, 104-105-ე ადგილებს გაბონის ნაკრებთან იყოფს. ოქტომბრის შემდეგ ფიფამ ჩვენებურები ოთხი საფეხურით დააქვეითა. რეიტინგს კი ჩვეულებისამებრ ბრაზილია ლიდერობს. წლის შემაჯამებელ რეიტინგს ფიფა 18 იანვარს გამოაქვეყნებს.**

# უეფამ ახალგაზრდებს ადგილი მიუჩინა

უეფამ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ფორმატი რომ შეცვალა, ადრეც გაუწყეთ. შესამჩნევად გართულებული შერჩევითი სისტემის მიხედვით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მეოთხე კალათაში მოხვდა და პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მეხუთე კალათაში მოთავსებული ნაკრებიდან ერთ-ერთს შეხვდება. წილისყრა 27 იანვარს, შვეიცარიაში, ქალაქ მონტრეში შედგება და პირველ მეტოქეს ჩვენებურები გაისად, მარტ-ივლისის პერიოდში შინ და სტუმრად, ორ მატჩში დაუპირისპირდებიან. პირველი ეტაპის რვა საუკეთესო გუნდი დანარჩენ 34 ნაკრებს შეუერთდება და 42 ნაკრები 14 სამ-სამ გუნდიან ჯგუფში განაწილდება. ხუთივე კალათის შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

**პირველი კალათა:** პორტუგალია, საფრანგეთი, იტალია, დანია, გერმანია, სერბეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ესპანეთი, ბელგია, შვეიცარია, თურქეთი, რუსეთი, ნორვეგია. **მეორე კალათა:** პოლონეთი, ინგლისი, შვედეთი, უნგრეთი, ბელარუსი, უკრაინა, საბერძნეთი, ისრაელი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ბოსნია, ავსტრია, ლიტვა. **მესამე კალათა:** შოტლანდია, ლატვია, ბულგარეთი, ფინეთი, კვიპროსი, ალბანეთი. პლუს რვა გუნდი საკვალიფიკაციო პლეი ოფიდან. **მეოთხე კალათა:** უელსი, ისლანდია,, ირლანდია, საქართველო, მოლდოვა, მაკედონია, სომხეთი, ჩრდ. ირლანდია. **მეხუთე კალათა:** მალტა, ესტონეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, სან-მარინო, ლუქსემბურგი, ანდორა, ლიხტენშტაინი.



**ჭაბუკთა შორის ა.ჩიჩუას სახელობის თასის სამეგრელოს რეგიონის 2005-2006 წლების გათამაშების I ეტაპის (I-II წრის) ცხრილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია (ზუგდიდი) | 10 | 8 | 1 | 1 | 34-11 | 25 |
| ენგური (ჯვარი) | 10 | 6 | 1 | 3 | 26-20 | 19 |
| ტეხურა (სენაკი) | 10 | 5 | 3 | 2 | 28-20 | 18 |
| სპორტსკ.(მარტვილი) | 10 | 3 | 2 | 5 | 18-27 | 11 |
| სპორტკომპ.(წალენჯიხა) | 10 | 3 | 1 | 6 | 25-30 | 10 |
| კოლხები (ხობი) | 10 | 1 | 0 | 9 | 9-32 | 3 |

„ქართული ფეხბურთის" რედაქტორი
მიხეილ საბახტარიშვილი

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## «მილანის» ბრწყინვალე საშობაო აკორდი და «სამეფო კლუბის» კრახი



2005 წელი „მილანმა" ბრწყინვალე გამარჯვებით დაასრულა. სერია „ა"-ს მე-17 ტურში კარლო ანჩელოტის გუნდმა სტუმრად „ლივორნო" გაანადგურა — 3-0. ორი ბურთი ჯილარდინომ გაიტანა, ერთიც — ანდრეი შევჩენკომ.

**ამ შეხვედრაში „მილანის" შემადგენლობა ასეთი იყო:** დიდა, კალაძე, ნესტა, შიმიჩი, გატუზო, კაკა (იანკოლოვსკი, 87), პირლო, ზეედორფი, (ამბროზინი, 78), სერჟინიო, ჯილარდინო (რუი კოშტა, 83), შევჩენკო.

ტურინის „იუვენტუსმა", როგორც მოსალოდნელი იყო, 2-0 დაამარცხა „სიენა". ანგარიში მე-13 წუთზე კანავარომ გახსნა, მეორე ნახევრის დასაწყისში კი ტრეზეგემ მეორედ გამოიჩინა თავი.



**„იუვენტუსი":** აბიატი, კანავარო, კიელინი, ტურამი, კამორანეზი, ემერსონი, ვიეირა, ძამბროტა, იბრაჰიმოვიჩი (სალაიეტა, 78), მუტუ, ტრეზეგე (დელ პიერო, 59).

„იუვენტუსი" სატურნირო ცხრილში 8 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს — „ინტერს" ამავე მე-17 ტურში „ფიორენტინამ" მინიმალური ანგარიშით 1-0 სძლია „პალერმოს". ეს ერთადერთი ბურთი იორგენსენის ანგარიშზეა. როგორც იქნა, მოიგო „რომამ" — საკუთარ მოედანზე ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანა „კიევოს". ფრანჩესკო ტოტიმ „დუბლი" შეასრულა, ხოლო თითოჯერ გამოიჩინეს თავი პეროტამ და ტაიდერმა.

ასევე წარმატებით ითამაშა მილანის „ინტერმა", რომელმაც „სან სიროზე" 4-1 გაანადგურა „ემპოლი". გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ადრიანომ , კრუსმა, ფიგუმ და მარტინსმა.

**„ინტერი":** სესარი, ბურდისი, ფაველი, სამუელი, ხ. ძანეტი, ფიგუ, კამბიასო, სოლარი (კ. ძანეტი, 70), ვერონი (ვომე, 87), ადრიანო (კრუსი, 18), მარტინსი.

**სხვა შეხვედრები:** „ლეჩე" — „ლაციო" 0-0. „უდინეზე" — „სამპდორია" 2-0, „პარმა" — „კალიარი" 1-0, „ასკოლი" — „ტრევიზო" 1-0, „მესინა" — „რეჯინა" 1-1.;

**სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იუვენტუსი" | 17 | 15 | 1 | 1 | 38-9 | 46 |
| „ინტერი" | 17 | 12 | 2 | 3 | 36-14 | 38 |
| „მილანი" | 17 | 12 | 1 | 4 | 39-18 | 37 |
| „ფიორენტ." | 17 | 11 | 3 | 3 | 32-17 | 36 |
| „ლივორნო" | 17 | 9 | 4 | 4 | 19-17 | 31 |

**ესპანეთის პრიმერადივიზიონის** მე-17 ტურში ბევრისთვის მოულოდნელად მადრიდის „რეალმა" „სანტიაგო ბერნაბეუზე" მარცხი განიცადა „რასინგთან" შეხვედრაში — 1-2. უკვე პირველ ნახევარში „სამეფო კლუბმა" ორი ბურთი გაუშვა — 21-ე წუთზე ანგარიში „რასინგის" მოთამაშემ აიესამ გახსნა, 6 წუთში კი მელომ აიღო მადრიდელთა კარი. მასპინძელთა უსუსური თამაშის შემხედვარე ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ „რეალი" მეორე ნახევარში შეძლებდა ორბურთიანი ჰანდიკაპის „ამოქაჩვას".

მაყურებლები „სამეფო კლუბის" ფეხბურთელთა თითოეულ მოქმედებას სტვენით ხვდებოდნენ... ვერაფერს აკეთებდნენ მოედანზე ბექჰემი, ზიდანი, რონალდო და სხვები.

მართალია, რონალდომ ერთი ბურთი გაქვითა და გულშემატკივრებს მცირე იმედი ჩაუსახა, მაგრამ დარჩენილ დროში მასპინძლებმა ისე ცუდად ითამაშეს, რომ ერთ ქულასაც არ იმსახურებდნენ.

დამატებით დროში სახიფათო საჯარიმო დაინიშნა „რასინგის" კარის მიმართულებით, ბექჰემმა კი ბურთი დიდი მანძილით ააცილა მიზანს.

გასახდელისკენ მიმავალ დამარცხებულ „სამეფო კლუბს" მაყურებელთა გამაყრუებელი სტვენა მიაცილებდა...

**ამ შეხვედრაში „რეალი" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა:** კასილიასი, რობერტო კარლოსი, ელგერა, პავონი, (ბაპტისტა, 89), სერხიო, ბექჰემი, დიოგო, პაბლო გარსია, ზიდანი, რობინიო (სოლდადო, 48), რონალდო.

მადრიდელები უკვე 11 ქულით ჩამორჩებიან ქვეყნის ჩემპიონს „ბარსელონას", რომელმაც ამ ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა. კატალონიელებმა საკუთარ მოედანზე 2-0 სძლიეს „სელტას". ორივე ბურთი სამუელ ეტო'ომ გაიტანა.

**„ბარსელონა":** ვალდესი, ედმილსონი, მარკესი (ბელეტი, 89), ოლეგერი, პუიოლი, სილვინიო, დეკუ, ინიესტა (მოტა, 83), მესი (ჟიული, 66), ეტო'ო, რონალდინიო.

კიდევ ერთი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ამავე ტურში. „დეპორტივო" საკუთარ მოედანზე „რეალის" მსგავსად 1-2 დამარცხდა „ესპანიოლთან".

მესამე ადგილზე გადაინაცვლა „ვალენსიამ", რომელმაც საკუთარ მოედანზე წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა „მალიორკას" — 3-0.

გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს — ალბელდამ, ვილიამ და აურელიომ.

**„ვალენსია":** კანისარესი, მარჩენა, ლუის მიგელი, მორეტი, აიმარი, ალბელდა, ალბიოლი, ბარახა (აურელიო, 74), ვისენტე (რეკუერო, 84), ანგულო, ვილია (მისტა, 83);.

**სხვა შეხვედრები:** „სოსიედადი" — „კადისი" 2-0, „ხეტაფე" — „სევილია" 1-0, „ბეტისი" — „ალავესი" 3-0, „მალაგა" — „ვილიარეალი" 0-0, „სარაგოსა " — „ბილბაო" 3-2.



**სატურნირო ცხრილის პირველი ხუთეული.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა" | 17 | 12 | 4 | 1 | 43-14 | 40 |
| „ოსასუნა" | 16 | 11 | 2 | 3 | 23-15 | 35 |
| „ვალენსია" | 17 | 9 | 5 | 3 | 26-17 | 32 |
| „ვილიარეალი" | 17 | 8 | 6 | 3 | 25-16 | 30 |
| „რეალი" | 17 | 9 | 2 | 6 | 29-19 | 29 |

* * *

**გაგაცნობთ საფრანგეთის თასის გათამაშების მორიგი რაუნდის შედეგებს:** „გინგამი" — „კაენი" 2-0, „ნიცა" — „სედანი" 2-0, „ბორდო" — „ნანტი" 3-1, „ტულუზა" — პსჟ 2-0, „მონპელიე" — „აიაჩო" 0-1, „მონაკო" — „ლილი" 1-0, „ნანსი" — „ლორიენი" 1-0, „ოსერი" — „ლემანი" 1-1 (პენ. 1-4).

**გერმანიის თასი:** „ჰანოვერი" — „ვერდერი" 1-4, „აინტრახტი" — „ნიურნბერგი" 1-1 (პენ 4-1), „ჰანზა" — „კიკერსი" 1-1 (პენ. 2-3), „სტ. პაული" — „ჰერტა" 4-4. (დ.დ.), „ბაიერნი" — „ჰამბურგი" 1-0 (დ.დ.). „არმინია" — „უნტერხახინგი" 2-0, „ფრაიბურგი" — „მიუნხენი 1860" 1-3 (დ.დ.), „კაიზერსლაუტერნი" — „მაინცი 1-1 (პენ. 3-4).

## მიზეზი უპოვეს...

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილეს – საუდის არაბეთის ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. არგენტინელი გაბრიელ კალდერონის ნაცვლად არაბებს გერმანიაში ბრაზილიელი სპეციალისტი მარკოს სესარ პაკეტი წაუძღვება.

კალდერონი საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის ნაკრებიდან ბოლოდროინდელი წარუმატებლობების გამო გააძევა. არგენტინელ მწვრთნელს, რომელმაც გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა, არ აპატიეს მეოთხე ადგილის დაკავება საერთაშორისო ამხანაგურ ტურნირში – ნახევარფინალში არაბებმა ირანის გუნდთან წააგეს, ხოლო მესამე ადგილისათვის მატჩი დათმეს... გერმანიის ნაკრებთან.

საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ წარუმატებლობის მიზეზი მოჰკითხა კალდერონს, ამ უკანასკნელმა პასუხი ვერ გასცა და პოსტიდან გაათავისუფლეს კიდეც. საუდის არაბეთის ნაკრების საჭე მიანდეს პაცეტის, რომელმაც 2007 წელს ბრაზილიის ახალგაზრდულ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. ბოლო პერიოდში კი ერთ-ერთ საუკეთესო არაბულ კლუბს „ალ-ჰილალს" წვრთნიდა. პაკეტისთან საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციამ 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## კიდევ ორი წლით...





გერმანული საფეხბურთო კლუბ „ჰამბურგის" გადაქცევამ მიუნხენის „ბაიერნის" კონკურენტად, ბუნდესლიგის ჩემპიონობისათვის ბრძოლაში მთავარ მწვრთნელს ტომას დოლის გუნდში დარჩენის ორწლიანი სრული გარანტია მისცა. დოლის კონტრაქტს „ჰამბურგთან" 2006 წელს გასდიოდა ვადა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ გუნდმა ბოლო პერიოდში წარმატებებს მიაღწია საშინაო ჩემპიონატში, ხელმძღვანელობამ მწვრთნელს ორი წლით გაუგრძელა ხელშეკრულება.

„მე ბედნიერი ვარ „ჰამბურგში" ყოფნით", — ამბობს დოლი.

„დარწმუნებული ვართ, რომ ტომასი მომავალში წარმატებას მოუტანს გუნდს", — ეს სიტყვები კი ეკუთვნის „ჰამბურგის" პრეზიდენტს ბერნდ ჰოფმანს.

ტომას დოლმა 2004 წელს „ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე კლაუს ტოპმიოლერი შეცვალა. მას შემდეგ ეს გუნდი პროგრესს განიცდის. ბუნდესლიგის ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ „ჰამბურგი" ლიდერთა შორისაა, გარდა ამისა, უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში გავიდა, სადაც მეტოქედ შვეიცარიული „თუნი" ერგო.

## ბულგარეთის ჩემპიონი თანამეგობრობის თასზე

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ახალი წლიდან თანამეგობრობის თასს ახალი სპონსორი ეყოლება – „ტრანსტელეკომი". გარდა ამისა გადაწყდა, რომ ტურნირის მე-16 მონაწილე რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები აღარ იქნება – მას შესაძლოა ჩაენაცვლოს ბულგარეთის, ანდა, სერბეთის ჩემპიონი გუნდი.

## ანრის «ბარსელონაში» ეპატიჟებიან





ესპანეთის საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას" პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ განაცხადა, რომ დაინტერესებულია ლონდონის „არსენალის" ფორვარდის — ტიერი ანრის შეძენით.

ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა ანრი ჩვენი გუნდის შემადგენლობაში ვიხილოთ. თვით ფეხბურთელიც არ არის წინააღმდეგი, ითამაშოს „ბარსელონაში", — ამბობს ლაპორტა.

## მზადების გეგმა შეადგინეს

ცნობილია, რომ ჰოლანდიის ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალისტია. ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ შეადგინა მსოფლიო ჩემპიონატისათვის ეროვნული გუნდის მზადების გეგმა. კერძოდ, მარკო ვან ბასტენის გუნდი 2006 წლის 1 მარტს უმასპინძლებს ეკვადორის ნაკრებს, 27 მაისს ეთამაშება კამერუნელებს, 1 ივნისს ჰოლანდიელები ძალებს მექსიკელებთან შეხვედრაში „გადაამოწმებენ", ხოლო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ავსტრალიის გუნდს ეთამაშებიან.





## ოუენი «ლივერპულში» აღარ დაბრუნდება

„ნიუკასლის" თავდამსხმელმა მაიკლ ოუენმა უარყო ბოლო დროს პრესაში გავრცელებული ინფორმაცია მისი „ლივერპულში" შესაძლო დაბრუნების თაობაზე.

„მე „ნიუკასლიდან" ოთხწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით", — ამბობს ოუენი.

## ხიზანიშვილის «ბლექბერნი» ინგლისის თასის ნახევარფინალში...

ინგლისის ლიგის თასის ნახევარფინალში დიდი გაჭირვებით გავიდა ლონდონის „არსენალი", რომელმაც მხოლოდ პენალტების სერიაში 3-1 დაამარცხა მესამე დივიზიონში მოასპარეზე „დონკასტერი". ძირითადი დრო ფრედ – 1-1 დასრულდა.



„ბლექბერნმა" სტუმრად დაამარცხა „მიდლსბრო" მინიმალური ანგარიშით 1-0.„მანჩესტერ იუნაიტედმა" მეოთხედფინალური შეხვედრა მოუგო სტუმრად „ბირმინგემს". გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს საამ (ორჯერ) და პარკმა. „უიგანმა" 2-0 სძლია „ბოლტონს".

ნახევარფინალში ერთმანეთს ხვდებიან „ბლექბერნი" – „მანჩესტერ იუნაიტედი" და „არსენალი" – „უიგანი". პირველი შეხვედრები 9 იანვარს ჩატარდება, განმეორებითი – 23 იანვარს.

## ნეონაცისტური სიმბოლიკის გამო დააჯარიმეს

ბელგრადის საფეხბურთო კლუბი „ცრვენა ზვეზდა" უეფას სადისციპლინო კომიტეტმა 6400 ევროთი დააჯარიმა იმის გამო, რომ ამ გუნდის გულშემატკივრებმა გამოიყენეს ნეონაცისტური სიმბოლო. ეს მოხდა 3 ნოემბერს, როცა „ცრვენა ზვეზდა" უეფას თასის გათამაშების შეხვედრას ატარებდა „ბაზელთან". თამაშის დაწყებამდე „ცრვენა ზვეზდას" გულშემატკივრებმა ტრიბუნაზე გამოფინეს დროშა, რომელზეც გამოსახული იყო ნეონაცისტური სიმბოლო. უეფას თანამშრომელთა მითითების შემდეგ დროშა აიღეს.

„რასიზმთან ბრძოლა უეფას მთავარი საზრუნავია. რასიზმს ვერ შევურიგდებით ვერც მოედანზე და ვერც ტრიბუნებზე", – ნათქვამია უეფას სადისციპლინო კომიტეტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# ნბა

## აღმოსავლეთში – „დეტროიტი“, დასავლეთში – „სან-ანტონიო“

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში ოთხშაბათს მეტად საინტერესო შეხვედრა გაიმართა. „ლეიკერსმა“ საკუთარ მოედანზე უმასპინძლა „დალასს“. მასპინძლებმა წარმატებით ითამაშეს და გაიმარჯვეს 22 ქულის სხვაობით — 112:90. „ლეიკერსის“ შემადგენლობაში ბრწყინავდა კობი ბრაიანტი, რომელმაც 62 (!) ქულა მოაგროვა, რაც გუნდის მიერ ამ შეხვედრაში მთლიანად დაგროვებულ ქულათა რაოდენობის ნახევარზე მეტია!

„სან-ანტონიომ“ სტუმრად მხოლოდ ოვერტაიმში 107:109 წააგო „მილუოკთან“. სტუმართა რიგებში საუკეთესო იყო თიმ დანკანი, რომელმაც „სან-ანტონიოს 34 ქულა შესძინა და 13-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა საბოლოო გამარჯვებისათვის.

სეზონის დასაწყისში აუტსაიდერად





შერაცხულმა „შარლოტამ“ სტუმრად 102:95 აჯობა „ჩიკაგოს“.

ზაზა ფაჩულიას „ატლანტამ“ გასვლითი შეხვედრა წააგო „მაიამისთან“. ამის „მიზეზი“ მასპინძელთა შემადგენლობაში შაკილ ო'ნილის გაბრწყინება იყო. მან „მაიამის“ 28 ქულა შესძინა და 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. „ატლანტის“ კალათბურთელთაგან კი ყველაზე შედეგიანი უილიამსი იყო 26 მოპოვებული ქულით.

რიჩარდსონმა, რომელიც „პორტლენდის“ ღირსებას იცავს, წარმატებით ითამაშა „დეტროიტის“ წინააღმდეგ — 37 ქულა მოაგროვა და 11-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან, თუმცა, მისი გუნდი მაინც დამარცხდა — 89:93.

„ნიუ-ჯერსის“ მოთამაშის კარტერის აქტიურობამ „კლიპერსთან“ მატჩში კი შედეგი გამოიღო — მისმა 35-მა ქულამ და 9 შედეგიანმა გადაცემამ „ნიუ-ჯერსს“ 99:85 მოაგებინა.

ოთხშაბათს კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა: „ფინიქსი“ — „სიეტლი“ 111:83, „კლივლენდი“ — „იუტა“ 110:85.

გუშინ „ვაშინგტონმა“ დაძაბულ ბრძოლაში სტუმრად დაამარცხა „დენვერი“ — 116:110. სტუმართა გუნდის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის არენასს, რომელმაც „ვაშინგტონს“ 36 ქულა შესძინა და 11-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

დამარცხებული „დენვერის“ რიგებში გამოირჩეოდა ენტონი, რომლის ანგარიშზეც 29 ქულაა.

„სან-ანტონიომ“ სტუმრად 13 ქულის სხვაობით სძლია „ნიუ-იორკს“. გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე მეტი — 23 ქულა ოკურმა მოაგროვა.

**სხვა შეხვედრები“:** „მინესოტა“ — „შარლოტა“ 88:69, „ბოსტონი“ — „იუტა“ 101:89, „ორლანდო“ — „ნიუ-ჯერსი“ 85:96, „ინდიანა“ — „კლიპერსი“ 97:75.

„ფილადელფიამ“ 111:100 სძლია „გოლდენ სტეიტს“ რაშიაც დიდად დაეხმარა ალენ აივერსონი, ამ უკანასკნელმა 38 ქულა მოაგროვა.

აღმოსავლეთ კონფერენციის სატურნირო ცხრილში დამაჯერებლად ლიდერობს „დეტროიტი“, რომელსაც 22 ჩატარებულ შეხვედრაში 19 გამარჯვება აქვს მოპოვებული. 14-14 მოგება აქვთ „ინდიანასა“ და „მილუოკს“. რაც შეეხება „ატლანტას“, ამ გუნდმა 22 ჩატარებული შეხვედრიდან 6 მოიგო, 16 კი წააგო და მე-13 ადგილზეა 15 გუნდს შორის.

დასავლეთ კონფერენციაში: „სან-ანტონიომ“ 24 შეხვედრიდან 19 მოიგო და პირველ ადგილზეა. 15 მოგება აქვს აქტივში მეორე ადგილზე მყოფ „დალასს“, ხოლო ერთიით ნაკლები — „მემფისს“.

## საბონისი სამუდამოდ მიდის...

**ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელი არვიდას საბონისი საბოლოოდ ასრულებს თავის კარიერას. მას 10 დეკემბერს 41 წელი შეუსრულდა. სპორტიდან წასვლის შესახებ თავად კალათბურთელს ჯერ არ განუცხადებია ოფიციალურად. ამჟამად არვიდასი ესპანეთში ისვენებს და ჯერჯერობით ჟურნალისტებთან არანაირ კომენტარს არ აკეთებს.**

**არვიდას საბონისის (სიმაღლე 220 სმ) მოთამაშის კარიერა 1981 წელს დაიწყო კაუნასის „ჟალგირისის“ შემადგენლობაში. 1982 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. სამი წლის შემდეგ კი ევროპის პირველობა მოიგო. ამას მოჰყვა გამარჯვება 1988 წელს, სეულში ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში. შემდეგ 7 სეზონის განმავლობაში იცავდა ნბა-ს კლუბ „პორტლენდის“ ღირსებას და ბოლოს, კვლავ „ჟალგირისს“ დაუბრუნდა.**

## 8 წლიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს



**არგენტინელი ჩოგბურთელი ვაჟი მარიანო პუერტა დოპინგის გამოყენებისთვის 8 წლითაა დისკვალიფიცირებული. მის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატები ჯერ კიდევ ივნისში აღმოაჩინეს, როცა პუერტა „როლან გაროსზე“ ასპარეზობდა.**

**ასეთი ხანგრძლივი დისკვალიფიკაციის მიზეზი ის არის, რომ პუერტა ივნისამდეც იყო მხილებული აკრძალული პრეპარატებით სარგებლობაში. 8 წელი სპორტიდან მოკვეთეს და ეს იმას ნიშნავს, რომ პუერტას კარიერა პრაქტიკულად დასრულებულია — დღეისათვის ჩოგბურთელი 27 წლისაა.**

## ეკლსტოუნი: «დენისმა და ალონსომ «რენოს» ხელმძღვანელობა მოატყუეს»



„ფორმულა1“-ის ხელმძღვანელმა ბერნი ეკლსტოუნმა მკაცრად გააკრიტიკა გუნდ „მაკლარენის“ მფლობელი რონ დენისი იმის გამო, რომ „რენოს“ პილოტი გადაიბირა.

„გავიხსენებ 1977 წელს, როცა გუნდ „ბრაბამის“ ხელმძღვანელი ვიყავი. მე კონტრაქტი დავდე ლეგენდარულ პილოტთან ნიკი ლაუდასთან. თავიდან, როცა ლაუდას ჩემს გუნდში გადმოსვლა შევთავაზე, ის მაშინვე დამთანხმდა. მაშინ მას ვუთხარი: „არ მინდა, პრობლემები შემექნას ენცო ფერარისთან, ამიტომ ჩააყენე ეს ადამიანი საქმის კურსში, შემდეგ კი ტრანსფერთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გავაკეთოთ“. ნიკი ლაუდამ ჩემი რჩევა უმალ მიიღო.



რაც შეეხება ფერნანდო ალონსოსთან დაკავშირებულ ამბავს, „ფორმულა 1“-ის წლევანდელი ჩემპიონი თავად მოელაპარაკა „მაკლარენის“ ხელმძღვანელს რონ დენისს, თანაც ისე, რომ ერთი სიტყვა არ უთქვამს თავისი გუნდის ხელმძღვანელისათვის — ფლავო ბრიატორესათვის. რა გამოვიდა? — ალონსომ და დენისმა ბრიატორე მოატყუეს“ — ამბობს ეკლსტოუნი.

## რაიკონენი: „არ ვიცი, რომელ გუნდში გადავალ“

„ფორმულა 1“-ის წლევანდელი ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონმა კიმი რაიკონენმა ჯერაც არ იცის, თუ რომელი გუნდის ღირსებას დაიცავს 2007 წელს. ბოლო პერიოდში ხშირად ჩნდება ინფორმაციები იმასთან დაკავშირებით, რომ რაიკონენით „ფორმულა1“-ის გუნდი „ფერარია“ დაინტერესებული, თუმცა თავად რაიკონენს არაფერი გადაუწყვეტია.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**23 დეკემბერი, პარასკევი**

**საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი.** მსოფლიო რაგბი (22.00), **НТВ плюс спорт.** „ჰარმონიის ფორმულა“ (11.25), ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ნიუ-იორკი“ — „ტამპა ბეი“ (12.30), „კვირის მიმოხილვა“ (15.00), საჭადრაკო მიმოხილვა (15.45), კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (16.15), ფრენბურთი. „ექსი — ექსზე“ (16.45), აფროსნობა. მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო (18.00), სნოუბორდი. მსოფლიოს თასი (18.35), ტაილანდური კრივი (19.00), „სპორტული გლობუსი“ (20.00), „ფარი და ბურთი“ (20.45), „ნოკაუტი“ (21.30), ჰოკეი. ნჰლ-ის ჩემპიონატი (23.30, 4.00). **EUROSPORT.** ციგაობა. მსოფლიო თასი (11.30), ოლიმპიური თამაშების (ტელეჟურნალი (12.00), ექსტრემალური სპორტი (12.30), რალი. პარიზი — დაკარი (13.30) ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა (15.30, 20.30), საუკეთესო გოლები (19.15), ევროპის საუკეთესო 24 კლუბი (22.30), „მსოფლიოს უძლიერესი ადამიანები“ (23.00), ექსტრემალური სპორტი (4.00).

**24 დეკემბერი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. მზე.** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგის მატჩები (16.45, 19.00), **НТВ плюс спорт.** ჰოკეი (11.30), საჭადრაკო მიმოხილვა (14.45), „ნოკაუტი“ (15.15), ნჰლ-ის გუნდები. „ედმონტონი“ (15.45), „ფარი და ბურთი“ (16.15), ამერიკული ფეხბურთი (17.20), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი: „ფინიქსი“ — „ვაშინგტონი“ (17.45), ჰოკეი, ნჰლ-ის ჩემპიონატი. „ტორონტო“ — „ბოსტონი“ (20.00), სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი (22.30), სნოუბორდი. მსოფლიო თასი (23.30), ფრენბურთი. „ექსი — ექსზე“ (0.30), ტაილანდური კრივი (1.50). **EUROSPORT.** ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი (12.00), უეფას ჩემპიონთა ლიგის მატჩები (გამეორებით, 12.30, 20.30), სათხილამურო სპორტი. თხილამურებით ხტომა ტრამპლინიდან (17.30), ფეხბურთი. პროგრამა „გოლი“ (20.00), სნუკერი (0.00), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიიდან. 1990 წელი. გერმანია ინგლისი (2.00).

**25 დეკემბერი, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. მზე.** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგის მატჩი (20.00). **იმედი.** სპორტული პროგრამა „ასი“ (16.30), **НТВ плюс спорт.** საჭადრაკო მიმოხილვა (11.30), ფრენბურთი (12.00), ამერიკული ფეხბურთი (13.30), სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი (14.15), ბილიარდი. ევროპის თასი (17.45), „დიდი რინგი“ (20.00), ძიუდო (22.30), „ყველაზე ძლიერი ადამიანი აშშ-ში“ (23.45), „სპორტული გლობუსი“ (0.35), ამერკიული ფეხბურთი (1.15). **EUROSPORT.** ფეხბურთი. პროგრამა „გოლი“ (13.00), უეფას ჩემპიონთა ლიგის კლასიკა (15.30), სათხილამურო სპორტი. თხილამურებით ხტომა ტრამპლინიდან მსოფლიო თასი (18.45), ავტოსპორტი. ეროვნებათა თასი (21.00), სნუკერი (0.00), ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა (4.00).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ერთ-ერთი ლეგენდარული ინგლისელი ვეტერანი ფეხბურთელი, სტენლი... 4. იტალიის საფეხბ. კლუბი, 7. „ჩელსის“ ყოფილი მწვრთნელი, 8. ცნობილი ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელი პაოლო... 9. პროფესიული კალათბურთის ლეგენდა (აშშ), 12. ცნობილი იაპონური ფირმა, 13. „ლივერპულის“ ყოფილი მწვრთნელი, 15 ცნობილი კორეელი ფეხბურთელი, 17. ძვირფასი მინა, რომლისგანაც სპორტულ პრიზებსაც ამზადებენ, 20. წარსულში ლეგენდარული პროფესიონალი მოკრივე, მუჰამედ... 23. სპორტში ცალკეული სპორტსმენის, გუნდის ან ნაკრების მიღწევების შეფასების კრიტერიუმი, 24. სსრ კავშირის საფეხბ. ნაკრების მცველი (ცსკა), თამაშობდა ხურცილავასთან ერთად, 25. ინგლისის საფეხბ. კლუბი.



**შვეულად:** 1. ველომრბოლელ ჰაკინენის სახელი, 2. იტალიის ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელი, 3. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი — მეკარე, 4. ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი, 5. ავადმყოფობა, რომლითაც ამჟამად დაავადებულია მუჰამედ ალი, 6. წარსულში ლეგენდარული პროფესიონალი მოკრივე, ტონი... 10. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 11. ცნობილი ვეტერანი ქართველი წყალბურთელი, 14 მონაკოს ფეხბურთელი, ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი (2004), 16. კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, 18. ჭადრაკში მს. ჩემპიონი ქალის სახელი, 19. ნბა-ს ცნობილი კალათბურთელი, 21. ნბა-ს კლუბი, 22. იტალიის საფეხბ. კლუბი, 23. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 2. პარიზი, 4. ბა, 5. ძოლა, 6. „ნიგერია“, 7. ქიში, 8. „ლეგია“, 11. როი, 13. ნაგანო, 14. კოალა, 16. ტარტანი, 17. „რენი“, 18. აუტი, 19. კილი.

**შვეულად:** 1. „ტორინო“, 2. პავია, 3.ზაგალო, 4. ბრიჯი, 9. გაგარინი, 10. ალტაფინი, 11. რანიერი, 12. ქარტია, 15. ეტლი.

## საჭადრაკო ამოცანა

ე. ფომიჩევი

„შახმატნოე ობოზრენიე“

(1988 წ.)



შამათი 3 სვლაში

№99-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ეg6!!

1. ...... e5 2. კe3 მფ:h4 3. ეh5X

1. ...... მფ:h4 2. ეh6+ მფg5 3. კe3X

## ფერნანდო ალონსოს გადასვლას ელოდა?

როგორც ცნობილია, „ფორმულა 1“-ის გუნდმა „მაკლარენმა“ ოფიციალური განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ 2007 წლიდან ამ გუნდის ღირსებას დაიცავს წლევანდელი ჩემპიონი, „რენოს“ პილოტი ფერნანდო ალონსო.

ეს ტრანსფერი გახდა საბაბი ხელშეკრულებისა, რომელიც გაფორმდა „მაკლარენსა“ და ცნობილ კომპანია „ვოდაფონს“ შორის. ეს კონტრაქტიც სწორედ 2007 წლიდან ამოქმედდება. შეგახსენებთ რომ „ვოდაფონი“ „ფორმულა 1“-ის გუნდ „ფერარის“ პარტნიორიცაა.

## კანადელთა შემადგენლობა ცნობილია

**გუშინწინ ცნობილი გახდა კანადის ჰოკეისტთა ნაკრების შემადგენლობა 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის.**

**მეკარეები:** მარტინ ბროდო („ნიუ ჯერსი“), რობერტო ლიუონგო („ფლორიდა“), მარტი ტურკო („დალასი“).

**მცველები:** რობი ბლეიკი ( „კოლორადო“), ადამ ფუტი („კოლუმბუსი“), ედ ჯოვანოვსკი („ვანკუვერი“), სკოტი ნიდერმაიერი („ანაჰაიმი“), კრის პრონგერი („ედმონტონი“), უედ რუდენი („ოტავა“), რობინ რეგერი („კალგარი“).

**თავდამსხმელები:** ტოდ ბერტუცი („ვანკუვერი“), შეინ დოუნი („ფინიქსი“), კრის დრეიპერი („დეტროიტი“), სიმონ განიუ („ფილადელფია“), დენი ჰ იტლი („ოტავა“), ჯერომ იგინლა („კალგარი“), ვენსან ლეკავილე („ტამპა ბეი“), ბრედ რიჩარდსი („ტამპა ბეი“), ჯო საკიკი („კოლორადო“), რაიან სმიტი („ედმონტონი“), მარტინ სენ-ლუი („ტამპა ბეი“), ჯო ტორონტონი („სანხოსე“).

**რეზერვი:** ბრაიან მაკეიბი („ტორონტო“), ჯეისონ სპეცა („ოტავა“), ერიკ სტალი („კაროლინა“).

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com